

უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში

ერაზმუს + ეროვნული ოფისი საქართველოში

ავტორები:

თამარ ბრეგვაძე
ქეთევან გურჩიანი
ირმა გრძელიძე
აბდულ კახიძე



Erasmus+

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

2017 წელი

შინაარსი

შესავალი	4
ძირითადი კითხვები და მეთოდოლოგია	6
ანგარიშის სტრუქტურა.....	7
თავი1: უნივერსიტეტების როლის ტაქსონომია - თეორიული მოდელი.....	9
მეწარმეობის მოდელი	9
რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი	10
„მეორე მოდალობის“ უნივერსიტეტის მოდელი	11
ჩართული უნივერსიტეტის მოდელი.....	12
თავი 2: უნივერსიტეტების როლი რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებში საქართველოში	14
თავი 3: უსდ-ების როლი პოლიტიკის განხორციელების პროცესში- გარე დაინტერესებული მხარეების ხედვა.....	17
თავი 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხედვა რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის შესახებ.....	30
თავი 5: რეგიონული განვითარების აქტორები და ქსელის მუშაობის დინამიკა.....	36
ქსელის დონე.....	37
ორგანიზაციის დონე	39
საერთაშორისო გამოცდილება და რეკომენდაციები	42
1. პოლიტიკის დაზუსტება.....	42
2. რეგიონული განვითარებისათვის თანამშრომლობის წამახალისებელი დაფინანსების სქემების ამოქმედება:.....	43

ა. დივერსიფიცირებული დაფინანსება უსდ-ების განსხვავებული მისიების ფორმირებისათვის.....	43
ბ. დამაბალანსებელი დაფინანსება რეგიონული უნივერსიტეტების განვითარებისთვის.....	44
ქსელების ფორმირება.....	45
ა. რეგიონული უსდ-ების ასოციაციები	45
ბ. ქალაქის განვითარების პროგრამები	45
3. ტექნიკური დახმარების პროგრამები, საინფორმაციო მხარდაჭერა, კონსულტირება ორგანიზაციული განვითარების საკითხებში	46
4. ინტერვენციების განხორციელებისათვის შუამავალი რგოლების როლის გაძლიერება	46
5. საერთაშორისო ექსპერტიზის შესყიდვის რეგულაციებში ადგილობრივი რესურსების ჩართვის ვალდებულების დაზუსტება.....	48
6. უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების სრულყოფა	49

შესავალი

თანამედროვე ხედვის თანახმად, ტრადიციული ფუნქციების გარდა (სწავლება და კვლევა) უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მესამე მნიშვნელოვანი ფუნქციაც უნდა შეითავსონ - წვლილი შეიტანონ იმ თემის, რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, რომელშიც არიან ლოკალიზებულნი. ხედვის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სწორედ რეგიონი და არა სახელმწიფო განიხლება თანამედროვე ევროპაში, როგორც განვითარების ყველაზე გავრცელებული სივრცითი მოდელი.

ამ სივრცითი მოდელის ფარგლებში ტერმინს „რეგიონი“ ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთის მხრივ იგი მოიაზრება, როგორც სახელმწიფოთა შორის ინტერაქციის განზომილება (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ან ცენტრალური აზიის რეგიონი), ხოლო მეორეს მხრივ, როგორც სახელმწიფოს შიგნით (ადგილობრივი დაყოფის ერთეულების) ჰარმონიული, ინკლუზიური განვითარება, რომელიც თავის მხრივ საფუძველს ქმნის ცოდნის გავრცელების ეფექტური სუპრანაციონალური მოდელების შექმნისთვის.

ეს პრიორიტეტი აისახება საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებში (ევროკავშირის ჩარჩო პროგრამები) და, შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.

ერთის მხრივ, დოკუმენტში იკითხება სუპრანაციონალურ დონეზე - ფართო გეოგრაფიულ არეალში და არა ადგილობრივი დაყოფის ერთეულში - პოზიციების გამყარების ამბიცია, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის შიგნით რეგიონული პრიორიტეტების გამოკვეთისა და განვითარების შესაძლებლობების გაზრდის მიზანი. დოკუმენტში, კერძოდ აღნიშნულია: „ინკლუზიური ეკონომიკური (და სოციალური) განვითარების მისაღწევად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და სუბ-ნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად“.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ე.წ. „მესამე მისიის“ განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენს, რასაც ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიური

ფაქტორების გარდა ბევრი ისეთი მიზეზიც განაპირობებს, რომელიც ზოგადად საერთოა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემებისათვის როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში (Trippi et al, 2014).

კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შემდეგი წინააღმდეგობრივი მოთხოვნების წინაშე დგანან:

- ერთის მხრივ მნიშვნელოვანია, ექსკლუზიური ნიშის ფორმირება, ხოლო მეორეს მხრივ, უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ფონზე პროდუქტის მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა.
- ერთის მხრივ აუცილებელია საჯარო ინვესტიციებზე უკუგების გაზრდა, ხოლო მეორეს მხრივ - ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, დამატებით სირთულეებს ქმნის:

- მზარდი კონკურენცია კერძო სექტორთან ცოდნის შექმნისა და ტრანსფერის თვალსაზრისით,
- ეროვნული სამუშაო ბაზრის სტრუქტურის დაშლის ტენდენცია რეგიონალური და საერთაშორისო სამუშაო ბაზრის სასარგებლოდ,
- დამსაქმებლის მუდმივად ცვალებადი (ან ჩვენს შემთხვევაში ხშირად გაურკვეველი) მოთხოვნები კურსდამთავრებულთა კომპეტენციებთან დაკავშირებით და
- ადგილობრივ დონეზე განვითარებაში მეტი წვლილის შეტანის აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების „მესამე მისიის“ მნიშვნელოვნება ფართო განხილვის საგანია როგორც პოლიტიკურ ისე აკადემიურ დისკურსში, დღესდღეობით ძალიან ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს და რა შედეგები აქვს ამ ე.წ. „მესამე მისიას“ (PACEC, 2009).

ნაკლებად არის შესწავლილი აგრეთვე ის, თუ როგორ განსხვავდება უსდ-ების კონტრიბუცია კონტექსტის მიხედვით - მაგალითად სხვადასხვა ქვეყნებში ან რეგიონებში. ამგვარი ვარიაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს ბევრი მიზეზით - მათ შორის - კონტინგენტით, უსდ ტრადიციით, რეგიონული ფაქტორებითა და ცენტრალურ დონეზე უმაღლესი განათლების მართვის სპეციფიკით (Trippi et al, 2014).

მოცემული ანგარიშის მიზანია, მიმოიხილოს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „მესამე მისიის“ განხორციელების სპეციფიკა, გამოწვევები და შესაძლებლობები ორი რეგიონის - აჭარისა და იმერეთის მაგალითზე.

ანგარიში საქართველოში საკითხის კვლევის პირველ მცდელობას წარმოადგენს - მისი ძირითადი ფოკუსი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის, თავად უსდ-ებისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში ჩართული სხვა მნიშვნელოვანი აქტორების) ხედვების შეჯერება წარმოადგენს უმაღლესი განათლების „მესამე მისიასთან“ დაკავშირებული პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკის შესახებ.

ძირითადი კითხვები და მეთოდოლოგია

რეგიონულ განვითარებაში უსდ-ების ჩართულობის საკითხი სამ ჭრილშია განხილული: პოლიტიკის (პოლიტიკის დოკუმენტების), განხორციელების ხედვების (დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების) და განხორციელების პრაქტიკის (ოპერაციულ) დონეზე.

კერძოდ, ამ მოკვლევის ფარგლებში გვსურდა გვეჩვენებინა:

- როგორ არის ასახული ეს საკითხი სტრატეგიულ/პოლიტიკის დოკუმენტებში?
- როგორ ხედავენ თავად რეგიონული უსდ-ები და სხვა დაინტერესებული მხარეები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები როგორ რეგიონულ განვითარებაში საქართველოში?
- რამდენად ეფექტურად მიიჩნევენ თავად უსდ-ები და სხვა დაინტერესებული მხარეები სხვადასხვა აქტორების, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემურ მუშაობას რეგიონული განვითარებისთვის ?
- მოქმედებს თუ არა და რა სახით მოქმედებს რეგიონულ განვითარებაში ჩართული ინსტიტუციების, აქტორების სისტემის სტრუქტურა ამ ქსელის მუშაობის შედეგებზე?
- რა არის რეგიონული განვითარებისთვის სისტემური მუშაობის მიმდინარე შეზღუდვები და უპირატესობები?
- რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოში რეგიონულ განვითარებაში უსდ-ების როლის გაუმჯობესებისათვის?

ანგარიშის მიგნებები ეყრდნობა ორ სამიზნე რეგიონში - იმერეთსა და აჭარაში თვისებრივი მეთოდებით შეგროვებულ ინფორმაციას. სამიზნე რეგიონების არჩევის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა კრიტიკული ქეისების შერჩევის პრინციპი. კერძოდ, ამ რეგიონებში ლოკალიზებულია უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ყველაზე დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, ამ ორი რეგიონის შედარებითი ანალიზი საინტერესოა რეგიონული მართვის განსხვავებული სპეციფიკის თვალსაზრისითაც.

სამიზნე რეგიონებში დაინტერესებული მხარეების შერჩევა ეყრდნობოდა მაქსიმალური ვარიაციის პრინციპს - კერძოდ, შერჩეული იქნა დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურად ფართო სპექტრი - როგორც გარე, ისე შიდა დაინტერესებული მხარეები. კვლევაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თავად უსდ-ების მართვის სტრუქტურების წარმომადგენლები.

კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ცენტრალური მმართველობის სხვა უწყებების წარმომადგენლებთან (იხ. დანართი 1 რესპონდენტთა სიისათვის).

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში ხუთ ნაწილად არის გაყოფილი.

პირველი ნაწილი მიმოიხილავს რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის მიხედვით უსდ-ების ტიპოლოგიის თეორიულ მოდელს.

მეორე ნაწილში ამ თეორიული მოდელის მიხედვით გაანალიზებულია რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების მონაწილეობის მიმდინარე პოლიტიკა საქართველოში. კერძოდ, განხილულია სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტების შინაარსი რეგიონულ განვითარებაში უსდ-ების როლის თვალსაზრისით.

მესამე ნაწილში განხილულია გარე დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის, ისევე როგორც რეგიონული განვითარების შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების) ხედვები უსდ-ების „მესამე მისიის“ შესახებ.

მეოთხე ნაწილი აღწერს სამიზნე რეგიონებში არსებული უნივერსიტეტების ხედვებს რეგიონულ განვითარებაში უსდ-ების როლის შესახებ, მათი თვალთ დასახულ გამოწვევებსა და პერსპექტივებს.

მეხუთე ნაწილი უსდ-ების მესამე მისიის განხორციელების დინამიკას ეხება. ამ თავში გაანალიზებულია რეგიონულ განვითარებაში ჩართული აქტორების (მათ შორის უსდ-ების) სისტემური მუშაობა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სერვისების კოორდინაცია, ინოვაციების ინტეგრირების პოტენციალი, კავშირების სიმლიერე (მულტიპლექსიურობა), ქსელების სიმწიფე (მიზნების გაზიარება) და სხვა.

ბოლო, მეექვსე ნაწილში მიმოიხილულია რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების როლის გაზრდისთვის მიმართული ინტერვენციების საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის.

თავი1: უნივერსიტეტების როლის ტაქსონომია - თეორიული მოდელი

უსდ-ების რეგიონული კონტრიბუციის მიხედვით ტიპოლოგიის შემუშავების კუთხით ბოლო წლებში მრავალი მცდელობა განხორციელდა (Goldstein, 2010; Uyarra, 2010). ამ ნაშრომში გამოიყენება ტრიპლისა და კოლეგების დაყოფა, რომელიც რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის სპეციფიკის მხრივ უსდ-ების ოთხ მთავარ მოდელს გამოყოფს. ეს მოდელებია: (i) მეწარმეობის მოდელი, (ii) რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი, (iii) ე.წ. „მეორე მოდალობის“ უნივერსიტეტის მოდელი და (iv) ჩართული უნივერსიტეტის მოდელი (Tripp et al, 2014).

ეს მოდელები სხვადასხვაგვარად მოიაზრებს უნივერსიტეტების მისიას რეგიონულ განვითარებაში ორი ფაქტორის - ა) გარე კონტექსტისა (რეგიონის სპეციფიკისა და უმაღლესი განათლების სიტემაში არსებული ინსენტივების) და ბ) ინსტიტუციის შიდა ორგანიზაციული მახასიათებლების გათვალისწინებით.

მეწარმეობის მოდელი

ამ მოდელის კონცეფციის თანახმად (Clark, 1998; Etzkowitz, 1983; Etzkowitz et al., 2000) უნივერსიტეტები თავიანთ ტრადიციულ საქმიანობას უთავსებენ დამატებით მისიას, რომელიც ექსკლუზიურად ეკონომიკურ განვითარებაზე არის ორიენტირებული. კერძოდ, იგულისხმება, რომ უნივერსიტეტებს წვლილი შეაქვთ რეგიონის განვითარებაში ცოდნის კომერციალიზაციის გზით (სპინ-ოფები, პატენტები, ლიცენზიები) (Grimaldi et al., 2011). ამ ტიპის აქტივობების განხორციელების პარალელურად თავად დაწესებულების შიგნით, ისევე როგორც უმაღლესი განათლების სისტემის მართვის სხვა დონეებზე არსებობს მკაფიო წახალისების სისტემები სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციისთვის, აკადემიაში ვითარდება ბიზნეს კულტურა, იქმნება და ფართოვდება ტექნოლოგიის ტრანსფერის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები (Goldstein, 2010; Siegel et al., 2007).

უსდ-ს კომერციალიზაციის ფუნქციაზე გავლენას ახდენს პოლიტიკის ასპექტები, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერი პოლიტიკა და დაფინანსება. მაგალითად, ინგლისში უსდ-ს კვლევის დაფინანსების დამატებითი წყაროები - კერძოდ, „მესამე ნაკადის შემოსულობები“ უსდ-ს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რაც აისახება დაწესებულების შემდგომ დაფინანსებაზე. ა.შ.შ.-ში განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ უსდ-ებში

კომერციალიზაციის ფუნქციის გააქტიურება უკავშირდება ინტელექტუალური საკუთრების უფლების განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის სპეციფიკას.

კომერციალიზაციის ფუნქციის ეფექტურობის კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვა, შიდაორგანიზაციულ ფაქტორებზე. კომერციალიზაციის ფუნქცია გავრცელებულია ძირითადად კვლევით უნივერსიტეტებში, რომლებიც კარგად არიან ინტეგრირებულნი საერთაშორისო ქსელებში და მყარი პოზიციები აქვთ ადგილობრივ ბაზარზე, როგორც კვლევით უნივერსიტეტებს (Philpott et al., 2011).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მეწარმეობის მოდელის გამოყენება არ წარმოადგენს თვითმიზანს და ყოველთვის არ არის თავსებადი კონკრეტული რეგიონული კონტექსტისთვის. კვლევებში, რომლებშიც უნივერსიტეტის მისიის ადგილობრივ კონტექსტთან რელევანტურობა არის შესწავლილი, ყოველთვის არ ჩანს მკაფიო კავშირი უსდ-ების მიერ კომერციალიზაციის მცდელობებსა და რეგიონის რეალურ საჭიროებებს შორის. უფრო მეტიც, ამ ტიპის უნივერსიტეტებს ხშირად არ აქვთ ძლიერი რეგიონული ეფექტი (Martinelli et al., 2008) და ძირითადად ეროვნულ დონეზე პოზიციონირებას აკეთებენ.

გარდა ამისა, კვლევების თანახმად, მეწარმეობის მოდელით ფუნქციონირებას დადებითი შედეგი აქვს მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც სპეციფიური დარგები ვითარდება (მაგ. ბიოტექნოლოგია და კომპიუტერული მეცნიერებები, ისევე როგორც მაღალია ფირმების კვლევითი საქმიანობის ინტენსივობა და კვლევითი პროდუქტის აბსორბირების პოტენციალი (Feldman, 2003; Lawton Smith and Bagchi-Sen, 2012; Agrawal and Cockburn, 2003)

რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი

ამ მოდელში უსდ წარმოადგენს აქტიურ მონაწილეს ინოვაციის ინტერაქტიულ პროცესებში (Cooke, 1992; Cooke et al., 2004). იგი მნიშვნელოვანი მოთამაშეა რეგიონის ცოდნის ინფრასტრუქტურაში. კონცეფციის თანახმად, უსდ ურთიერთობს სხვა აქტორებთან და ხელს უწყობს რეგიონის სისტემურ ინოვაციურ განვითარებას. ამ მოდელში უსდ არის არა მხოლოდ ცოდნის მწარმოებელი, არამედ ამავე დროს დამაკავშირებელი ერთეულ ინოვაციასა და წარმოებას შორის რეგიონულ დონეზე. წინა მოდელისგან განსხვავებით, ეს მოდელი, კომერციალიზაციის გარდა, გულისხმობს ცოდნის ტრანსფერის მექანიზმების უფრო ფართო სპექტრს (მაგალითად, კურსდამთავრებულების მიწოდება შრომის ბაზარზე, არაფორმალური კონტრაქტები ფირმებთან). ემპირიული კვლევა აჩვენებს, რომ თანამედროვე

მსოფლიოში ამ ტიპის მოდელი უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე მეწარმეობის მოდელი (Kitson et al., 2009; Perkmann et al., 2013).

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ინოვაციური მოდელის ჩარჩოს ფარგლებში, უნივერსიტეტის როლი მცირე და საშუალო ბიზნესში და რეგიონული განვითარების კლასტერებში ცოდნის ტრანსფერია. ძირითადი დაშვება ამ მოდელში არის ის, რომ სასწავლებლები დამოკიდებულნი არიან არა მხოლოდ საკუთარ სტრატეგიაზე, აქტივობებსა და შიდა ორგანიზაციულ მახასიათებლებზე, არამედ თავად სისტემის კონფიგურაციაზე და სისტემის ელემენტების აბსორბაციის პოტენციალზე. ამ მოდელის თანახმად, უნივერსიტეტების ფუნქცია განსხვავდება კვლევისა და ინოვაციის სისტემის, ცოდნის სტრუქტურისა და რეგიონული განვითარების ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით (Martin and Moodysson, 2011; Lester, 2005). ასევე, რეგიონში ინოვაციის დინამიკაზე გავლენას ახდენს რეგიონს გარეთ არსებული ცოდნის სტრუქტურა.

„მეორე მოდალობის“ უნივერსიტეტის მოდელი

პირველი და მეორე მოდელი, ძირითადად, უკავშირდება რეგიონის ეკონომიკური განვითარების ფუნქციას, დანარჩენი ორი მოდელი კი უნივერსიტეტების საქმიანობას უფრო ფართოდ მოიაზრებს და რეგიონის სოციალური და კულტურული განვითარების ფუნქციას უკავშირებს.

ერთ-ერთ ასეთ მოდელს ე.წ. მეორე მოდალობის უნივერსიტეტის მოდელი წარმოადგენს. ამ მოდელს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების როლის ცვლილება პირველ რიგში დაკავშირებულია მეცნიერების სისტემის ცვლილებასთან, რაც ქმნის კონტექსტუალურ ფონს რეგიონის განვითარებისთვის.

ამ მიმართულებით ბევრი თეორია არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია „ცოდნის შექმნის ახალი მოდელი“ (New production of knowledge (NPK)) თეორია (Gibbons et al., 1994; Nowotny et al., 2001). ეს თეორია უნივერსიტეტების როლს განიხილავს ცოდნის შექმნის ახალ მექანიზმთან (მოდალობასთან) მიმართებაში (რომელსაც „მეორე მოდალობას“ უწოდებენ). პირველი მოდალობისგან განსხვავებით, სადაც ცოდნის შექმნას უფრო სწორხაზოვანი ხასიათი აქვს ერთი დისციპლინის ფარგლებში, ახალი მოდალობა გულისხმობს ცოდნის შექმნის ინტერდისციპლინურ ხასიათს და პირდაპირ კავშირს საზოგადოების პრობლემატიკასა და გამოწვევებთან. „მეორე მოდალობის“ ცოდნის წარმოებაში ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტებია

გამოყენებადობა, ინტერდისციპლინურობა, ჰეტეროგენულობა, რეფლექსიურობა და მეცნიერების მართვის (ხარისხის შეფასების) ახალი მიდგომა.

პროცესში ჩართული აქტორების მრავალფეროვნება წარმოქმნის ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ხარისხის მართვის ახალ შესაძლებლობებს, რადგან არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური წრეებით. საზოგადოებისაგან მოწყვეტის ნაცვლად მეცნიერება მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმი (Nowotny et al., 2001).

ამ მოდელზე გადასვლის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს უნივერსიტეტების კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოდელის ცვლილება, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული. ასეთი მექანიზმებია, მაგალითად, ეროვნულ კონტექსტში ჩარჩო პროგრამები, ან ინგლისში კვლევის „გავლენის“ ანალიზი. ამ მოდელის ფარგლებში უნივერსიტეტის აქტივობები შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად, უნივერსიტეტების მონაწილეობას საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორცაა ურბანული განვითარება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ.

ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს, ის, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს მიდგომა უნივერსიტეტის იდენტობასა და შიდა მისიაზე და ხომ არ მოდის ის წინააღმდეგობაში უნივერსიტეტის მიმდინარე კვლევით პოლიტიკასთან ან უმაღლესი განათლების მართვის ზოგად ინსენტივებთან (Hessels and van Lente, 2008).

ჩართული უნივერსიტეტის მოდელი

„ჩართული უნივერსიტეტის“ მოდელი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის ძირითად მისიას წარმოადგენს რეგიონული განვითარება და არა ცოდნის წარმოება, ამ მოდელით უნივერსიტეტი თავის ძირითად საქმიანობას მიმართავს ინდუსტრიასა და საზოგადოებაზე და აქტიურად მონაწილეობს რეგიონის იდენტობის ფორმირებაში (Gunasekara, 2006; Breznitz and Feldman, 2012).

წინა მოდელისგან განსხვავებით ამ მოდელში უნივერსიტეტის ჩართულობა მრავალი ფორმით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, სასწავლო პროცესის მორგება რეგიონის საჭიროებებზე (რეგიონზე ორიენტირებული პროგრამები, ადგილობრივი სტუდენტების რეკრუტირება და კურსდამთავრებულთა შენარჩუნება, რეგიონალური ქსელების კოორდინაცია და პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა, ადგილობრივი ფირმების დახმარება და კონსულტაცია.

ამ ტიპის მისიის განხორციელების ეფექტურობაზე, კვლევების თანახმად, გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ასაკი და მდებარეობა. ახალგაზრდა უნივერსიტეტები და მსხვილი ურბანული ცენტრების გარეთ განთავსებული უნივერსიტეტები უფრო მეტად ეფექტური არიან ამ თვალსაზრისით (Boucher et al., 2003).

ამ მიდგომის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ცალკეულ კონტექსტში უნივერსიტეტების შეზღუდული შესაძლებლობები გადააწყონ მისია, მაშინ როდესაც დაფინანსების მექანიზმები და წახალისების სისტემები ცენტრალურ დონეზე განისაზღვრება.

მოცემული ტაქსონომია (ოთხი მოდელი) ამ ანგარიშში უსდ-ების რეგიონული განვითარების ფუნქციის ანალიზისთვის დასაყრდენ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს. კერძოდ, ამ დაყოფის მიხედვით გაანალიზებულია, როგორც რეგიონული განვითარების პრიორიტეტების განმსაზღვრელი ჩარჩო პოლიტიკის დოკუმენტები, ისე დაინტერესებული მხარეების ხედვები და მოსაზრებები.

თავი 2: უნივერსიტეტების როლი რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებში საქართველოში

საქართველოში რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავებისთვის ჩარჩო საორიენტაციო დოკუმენტს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს.

ეს არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

პროგრამის კონკრეტული მიზანი აზუსტებს საერთო მიზნის მთავარ შემადგენლებს. ამ დოკუმენტის თანახმად, რეგიონული განვითარების საჭიროებები შეიძლება დაჯგუფდეს ორ მთავარ კატეგორიად:

- ა) პრობლემები, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად, ნაკლებად განვითარებულ ზონებში სამუშაო ადგილების შექმნას ზღუდავს;
- ბ) პრობლემები, რომლებიც იწვევს ცხოვრების დაბალ ხარისხს გარკვეულ ზონებში.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად ამ პროგრამას ორი კონკრეტული ამოცანა აქვს:

- ეკონომიკური განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონე დაბალია;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად და ნაკლებად განვითარებულ ზონებში.

ამ მიზნების მისაღწევად და, შესაბამისად, განვითარების ძირითადი, უკვე გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, დოკუმენტში განსაზღვრულია საოპერაციო პრიორიტეტების ნუსხა, რომელიც ქმნის პროგრამის ინტერვენციის მთავარ თემატურ მიმართულებებს:

პრიორიტეტი 1 - ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა;

პრიორიტეტი 2 - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;

პრიორიტეტი 3 - სოფლის მეურნეობის განვითარება;

პრიორიტეტი 4 - ტურიზმის განვითარება;

პრიორიტეტი 5 - ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე.

რეგიონული განვითარების პროგრამის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში უსდ-ების როლი ძირითადად შემოიფარგლება ე.წ. ინოვაციური სისტემების მოდელით, ოღონდ უფრო ვიწრო გაგებით - ძირითადი ფოკუსია რეგიონის ბაზრისათვის შესაბამისი კადრების მომზადებაზე. უსდ-ების როლი კვლევითი პოტენციალის გაზრდაში, ინოვაციების დანერგვასა და კვლევის კომერციალიზაციის კუთხით ნაკლებად არის განხილული.

ანალოგიური ტენდენცია იკვეთება სამიზნე რეგიონების განვითარების სტრატეგიებშიც.

მცირედი განსხვავებებით ორივე სამიზნე რეგიონისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნესის სტიმულირება, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება (იმერეთის რეგიონში მეტი აქცენტი კეთდება ინდუსტრიის განვითარებაზე, მაშინ როდესაც აჭარაში ძირითადი პრიორიტეტია ტურიზმი).

შესაბამისი ამოცანების ფორმულირებებში მრავალი ისეთი მიმართულებაა განსაზღვრული, რომელიც ინტენსიურ კვლევას მოითხოვს - ურბანული განვითარება, ნარჩენების მართვა, ბუნებრივი რესურსების მართვა, ენერგოეფექტურობის საკითხები, მაღალპროდუქტიული ჯიშების წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა, ნიადაგის აღდგენა, ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში ინოვაციების დანერგვა. მიუხედავად ამისა, უსდ-ების როლი, ძირითადად, შემოიფარგლება ადამიანური რესურსების განვითარების ფუნქციით (სამუშაო ძალის ფორმირებით), რომელიც არ ფოკუსირდება ამ კვლევით პრიორიტეტებზე და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

შესაბამისად, სამიზნე რეგიონების განვითარების სტრატეგიებში ნაკლებად პრიორიტეტულია ე.წ. მეწარმეობის, მეორე მოდალობის ან ჩართული უნივერსიტეტის მოდელები. ძირითად მოდელს წარმოადგენს ინოვაციური სისტემების მოდელი, თუმცა ანალიზი აჩვენებს, თუ რამდენად შემოიფარგლება უსდ-ების როლი ამ მოდელში ძირითადად განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის ფორმირებით.

თავი 3: უსდ-ების როლი პოლიტიკის განხორციელების პროცესში- გარე დაინტერესებული მხარეების ხედვა

გარე დაინტერესებულ მხარეებში ამ ანგარიშის ფარგლებში მოიაზრება ის აქტორები (თავად უსდ-ების გარდა), რომლებიც აგრეთვე ჩართულნი არიან რეგიონულ განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს აქტორებია: რეგიონული განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობა, რეგიონებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტორები ხშირად უფრო მეტი ინტენსივობით მონაწილეობენ რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვაში ვიდრე უსდ-ები, ისინი გარე დაინტერესებულ მხარეების სტატუსით გვევლინებიან ამ ანგარიშში, რადგან მოცემული კვლევის ფოკუსს თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ, ხოლო ეს აქტორები უსდ-ების ინსტიტუციური გარემოს ნაწილია.

გარე დაინტერესებულ მხარეებთან რეგიონული განვითარების სქემებში უსდ-ს როლის განხილვისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ხედვა უსდ-ს როლის შესახებ ინოვაციური სისტემების მოდელის გარკვეულ აქცენტებს იმეორებს, თუმცა თეორიულ მოდელთან შედარებით უფრო ვიწროა.

ის ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზში, აგრეთვე კარგად ჩანს ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლებთან ინტერვიუებშიც. ისინი რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების როლს ძირითადად ეკონომიკური განვითარების ჭრილში განიხილავენ და რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელს უკავშირებენ, თუმცა აქაც უფრო ვიწრო გაგებით - კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი ფუნქცია ბაზრისთვის შესაბამისი ადამიანური კაპიტალის ფორმირებაა, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, სადაც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა.

რეგიონული განვითარების სტრატეგიების შინაარსიდან გამომდინარე, აქცენტი სწორედ იმ მიმართულებებზე კეთდება, რომლებიც სტრატეგიებში პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს - მშენებლობა, ინჟინერია, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, (იმერეთის შემთხვევაში სამედიცინო მიმართულება).

როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლების აზრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ ფუნქციას ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ.

ბოლო წლებში დღის წესრიგში დადგა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება - გზები, ხიდები, ესტაკადები. ამ მიმართულებით მცოდნე ინჟინრებისა და, ასევე, პროექტის შემსრულებელი ყველანაირი კადრის დეფიციტია და ეს ბირთვი არ არსებობს ქვეყანაში - კადრები, რომლებიც კვალიფიციურად შეძლებენ სამუშაოს შესრულებას.

*რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ ამჟამინდელი ცოდნით უსდ-ები ძირითადად დაბალი საფეხურის სამუშაო ძალის წარმოებას ახერხებენ:

სამუშაო კადრების დიდი დეფიციტია, მშენებლობებს აჩერებს პრაიმბეტონი. მოთხოვნას და მიწოდებას შორის დიდი დისბალანსია შუალედური რგოლი ამოვარდნილია.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ქუთაისი

ანალოგიურად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ უსდ-ები ვერ ახერხებენ ცოდნის გავრცელების საერთაშორისო კლასტერებში ეფექტურად ჩართვას და ახალი ცოდნის დროულად ინტეგრირებას სასწავლო პროცესებში:

განვითარდა ტექნოლოგიები, რომლებსაც ვერ აუბა მხარი ჩვენი ქვეყნის განათლებამ. ამიტომაც არის, რომ კონკრეტული პროექტირების განხორციელების დროს, მაგალითად რიკოტის პროექტზე, ავტობანის მშენებლობისას ან სხვა ტენდერში ვერც კი ახერხებს ქართული საპროექტო კომპანია დააკმაყოფილოს კვალიფიკაცია, რომ კი არ განახორციელოს - დააპროექტოს მაინც.

პრობლემაა კადრების, რომლებსაც ეს ცოდნა აქვთ. თითოე ჩამოსათვლელია ასაკოვანი ხალხი ღირებული ცოდნით, თუმცა ეს ცოდნა ახალგაზრდებს ვერ გადასცეს და არ იცნობენ ახალ ტექნოლოგიებს და მიდგომებს.

*რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან
ურთიერთობის დეპარტამენტი*

რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მოსაზრებით, ამ რეალობის სამწუხარო შედეგს წარმოადგენს ის, რომ ქართველი ექსპერტები ნაკლებად არიან ჩართულნი განვითარების პროგრამებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში.

ამიტომ ხდება დონორებისა და უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რაც ძვირი ჯდება და იმ თანამედროვე მიდგომების და ცოდნის გაზიარება ჩვენს პროექტებში, რომ ნორმალური შედეგი მივიღოთ. და თუ რატომ ვერ განვითარდა ეს სფერო ჩვენს უნივერსიტეტებში, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

ამ ამონარიდში საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ისიც, რომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრისას არ ჩანს მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი ცოდნის დაგროვებისა და გავრცელების ბარიერებს და როგორ შეიძლება რეგიონულმა და ცენტრალურმა პოლიტიკამ ერთობლივად ხელი შეუწყოს ამ ბარიერების აღმოფხვრას.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მათი მოსაზრებითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ ბაზრისათვის სათანადო კადრების მომზადებას.

ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ამახვილებენ ყურადღებას ბაზრის სტრუქტურაზე და აღნიშნავენ, რომ **სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებას უსდებისთვის შუა და ზედა რგოლის კვალიფიციური მენეჯერების მომზადება წარმოადგენს, რაც დღეისათვის პრობლემაა.**

ამ კუთხით კადრების დეფიციტის პრობლემის გადაჭრისთვის ისინი „მოვლით გზებს“ ანიჭებენ უპირატესობას - ყველაზე ქმედით გამოსავალს მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდებისთვის სპეციალური პროგრამების შექმნა წარმოადგენს. მაგალითად, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამა.

ტურიზმი ყველას წარმოუდგენია როგორც მიმტანი, მეტრდოტელი, მაგრამ ეს უფრო ფართო მიმართულებაა, ამიტომ სტუდენტებისათვის ჩავთვალეთ საჭიროდ გამოცდილების გამდიდრება - ტურისტული პოტენციალის მქონე

ქვეყნებში (შვეიცარია, გერმანია) გადავუხადეთ მგზავრობა, დაზღვევა იმ სტუდენტებს, რომლებიც მოძებნიდნენ კომპანიას, სადაც გაივლიდნენ სტაჟირებას. მაგალითად, ბრენდულ კომპანიაში (შერატონი, ჰილტონი) და ტურისტული მომსახურების სფეროს კომპლექსურად შეისწავლიდნენ, რაც მათ შემდგომში გამოადგებათ ქალაქისათვის.

ბათუმის მერია

ამ ამონარიდიდან ისიც ჩანს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები თვლიან, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ დარგის უფრო ფართო და კომპლექსური ცოდნის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც მართვაში იქნებიან ჩართულნი.

სანთლით მყავს საძებნელი კარგი სპეციალისტი. ხშირად სხვა უწყებებიდან გადმოიბრება გვიწევს. საქმე იმაშია, რომ ასი კი არა, ხშირად ორი მჭირდება. უნივერსიტეტები კი ამ პრინციპით ვერ იმუშავებენ. ამიტომ მიწევს ცდა-შეცდომის პრინციპით მუშაობა, აიყვანე გაუშვი, აიყვანე გაუშვი. სჯობს მე თვითონ გადავამზადო.

ბათუმის მერია

მოსაზრებას, რომ ადგილობრივი უსდ-ები ნაკლებად ამზადებენ ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კადრებს, ძირითადად იზიარებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც:

ბიზნესებს არ ჰყავთ ტექნოლოგები, ინჟინრები, რკინა-ბეტონის სპეციალისტები არ გვყავს, მთელ დას. საქართველოში ამის ინჟინერი ვერ ვნახეთ. ძლივს ერთი ვიპოვეთ და თბილისში გადამზადებისთვის გავუშვით. სამუშაო კადრების დიდი დეფიციტია, მშენებლობებს აჩერებს პრაიმბეტონი. მოთხოვნას და მიწოდებას შორის დიდი დისბალანსია.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ქუთაისი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან აგრეთვე თვალსაჩინოა, რომ უსდ-ების კიდევ ერთ გამოწვევას ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ადამიანური რესურსების მიწოდების გაუმჯობესება წარმოადგენს, ასეთი მიმართულებებია, მაგალითად, ელ. მართვის სისტემების დანერგვა, გის სისტემების დანერგვა და ა.შ.

რესურსი უნივერსიტეტში ვეძებო? არა მგონია, ყოველ შემთხვევაში არ გამიგია. გისისტის პოვნა არის ჯვარცმა. ახლა გისისტი ავდექი და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან გადმოვიბირე. არქიტექტურის მიმართულებით ელექტრონულად ვმართავთ სისტემას, თბილისის გამოცდილება გავიზიარეთ, გამჭვირვალეს ვხვდით. ელ-მართვის განვითარების კუთხითაც გვჭირდება რესურსები, გავაკეთეთ იუსტიციის სახლთან ერთად, მაგრამ ამას მართვა და შენახვა ხომ სჭირდება?

ბათუმის მერია

განსხვავებულია ამ თვალსაზრისით რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს ექსპერტიზა, თუმცა ამ ცოდნის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია დამატებითი ძალისხმევა, რადგან აკადემიური პერსონალი ნაკლებად იცნობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სპეციფიკას და ამ პროცესებში მონაწილეობის ნაკლები გამოცდილება აქვს. რამდენიმე რეგიონში განვითარების სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის პროცესის აღწერისას, რესპონდენტი აღნიშნავს:

[უნივერსიტეტის წარმომადგენლებს], რომლებიც ჩავრთეთ პროცესში, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საკუთარი მიზანი და იცოდნენ რა კონტექსტში მუშაობდნენ, თუმცა სტრატეგიის შემუშავების თანამედროვე მიდგომები მათთვის უცნობი იყო. თავად პროცესი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, აქტიურად იყვნენ ჩართულები და საკმაოდ დიდ ინფორმაციასაც ფლობდნენ ადგილობრივი საჭიროებების შესახებ. ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო უწყებებში არ არის, ხშირად აქვთ სწორედ უნივერსიტეტებს.

GIZ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამა სამხრეთ კავკასიაში

თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს თანამშრომლობა უსდ-ებთან, სამწუხაროდ ამ ეტაპზე ინდივიდუალურ და არა ინსტიტუციურ დონეზე მიმდინარეობს. რესპონდენტების აზრით, ამას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი განაპირობებს. პირველი და მნიშვნელოვანი მიზეზი ინსტიტუციური თანამშრომლობის შემაფერხებელი ბიუროკრატიული ბარიერებია:

ძალიან რთულია უნივერსიტეტებთან საქმიანი ურთიერთობები. ფინანსურად მოქნილები არ არიან უნივერსიტეტები და არ მოიაზრება, რომ გარედან დამკვეთი შეიძლება არსებობდეს, ამიტომ უნივერსიტეტებიც არ არიან მზად ამისათვის, არც სტრუქტურულად და არც პროცესის თვალსაზრისით.

დონორი ორგანიზაციები მეტ წილად იმ შემთვევაში გადიან უნივერსიტეტზე თუ ადგილზე არ არის არასამთავრობო. ეს განპირობებულია ალბათ იმით, რომ არასამთავრობოებთან ფინანსური თვალსაზრისით მუშაობა უფრო ადვილია. თუნდაც ეს იყოს თბილისში.

*GIZ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამა
სამხრეთ კავკასიაში*

საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით, რეგიონული განვითარების კუთხით უფრო ეფექტური თანამშრომლობისთვის უსდ-ების მხრიდან მნიშვნელოვანია უფრო მკაფიო პოზიციონირება ნიშის თვალსაზრისით, ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება და თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი შიდა ორგანიზაციული პროცესების სრულყოფა. კერძოდ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) წარმომადგენელი ინტერვიუში აღნიშნავს:

უნივერსიტეტებმა კარგად უნდა განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ საკუთარი პროფილი. ასევე, უნდა არსებობდეს უსდ-ში სპეციალური სამსახური, რომელიც პროექტების მოძიებაზე და გარე აქტორებთან თანამშრომლობაზე იმუშავებს. უფრო გახსნილი და მოქნილი უნდა იყოს უნივერსიტეტი იმ რეგულაციებთან მიმართებაში, რაც სხვადასხვა დონორ ორგანიზაციას აქვს. სამწუხაროდ მე ვერ ჩავდებ თანხებს უნივერსიტეტში, რადგან შემდგომ სჭირია ჩვენთვის მისაღები ანგარიშგების წარმოება, რასაც უნივერსიტეტი დიდი ალბათობით ვერ შეძლებს.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბარიერად უნივერსიტეტების მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა მიიჩნევა:

პრობლემა მარტო ფინანსური არ არის, ინიციატივა მათგან არ მოდის, მე თავად უნდა მივიღე მზა იდეით და ისიც სათუთა გამომყვება თუ არა ამ იდეის ბოლომდე განხორციელებაში.

*GIZ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამა
სამხრეთ კავკასიაში*

კვლევაში ჩართული გარე აქტორები მიიჩნევენ, რომ უსდ-ები ამ ეტაპზე პროაქტიულად არ მუშაობენ დამსაქმებლებთან კადრების მიწოდების თვალსაზრისით. კარიერული განვითარების ცენტრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სუსტია.

ორივე სამიზნე რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აზრით, სხვა მექანიზმების განუვითარებლობის პირობებში კადრების რეკრუტირების ერთადერთ ქმედით მექანიზმს სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი წარმოადგენს.

საწარმოო პრაქტიკის თვალსაზრისით ყველა უნივერსიტეტთან ვთანამშრომლობთ. ჩვენ ამ დროის განმავლობაში (3-4 თვე) ვაკვირდებით იმ სტუდენტებს, რომლებიც მოდიან და დამატებით თავისუფალი ადგილები გვიჩნდება (საფინანსო ეკონომიური, შესყიდვების, იურიდიული) ზეპირად ვიცით რომელ უნივერსიტეტში ვინაა პერსპექტიული ახალგაზრდა.

ბათუმის მერია

თუმცა თვითმმართველობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, მნიშვნელოვანია პრაქტიკანტების და პრაქტიკის პროცესის შედეგების შეფასება იმგვარად იყოს დაგეგმილი, რომ ხელს უწყობდეს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას.

როგორ გითხრათ, ფორმალური ხასიათი აქვს ამ ყველაფერს. იმ ფურცლიდან, რომელსაც უნივერსიტეტებს ვაწვდით ვერც მიხვდებით ვერაფერს. ვარგოდა თუ არ ვარგოდა შედეგის თვალსაზრისით, რაც აქ ნახა და ისწავლა, რა იცოდა და არ იცოდა, რა უნდა სცოდნოდა. ჩვენ კი ვიპოვით კადრს, თუ ვერ ვიპოვით საუკეთესოს ავიყვანთ და გადავამზადებთ, მაგრამ უნივერსიტეტს რა? რას ისწავლის აქიდან, როგორ უნდა გააუმჯობესოს საკუთარი პროგრამები.

ბათუმის მერია

ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე გამოსავლად მიიჩნევს არსებული რესურსების სწრაფი გადამზადების პარალელური სისტემების ამოქმედებას, რომლებსაც ხშირად თავად სამინისტროები უზრუნველყოფენ.

ჩვენ მოვიტოვეთ პერიოდი, რომ გადაგვეზადებინა ელ.მართვის სისტემებისთვის სპეციალისტების ნაწილი, იუსტიციამ გაგვიკეთა. უნივერსიტეტები არ მონაწილეობენ, უნივერსიტეტებისგან ასეთი შეთავაზება არ არის.

ბათუმის მერია

იმ მოსაზრებას, რომ უსდ-ები დღეს არ არიან ეფექტურად ჩართული სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელებასა და არსებული კადრების გადამზადებაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იზიარებენ და ამ ტენდენციის გამომწვევ მიზეზსაც ასახელებენ:

ურთიერთობების განვითარებას ხელი ალბათ შეუშალა იმან, რომ უამრავი სამინისტროს ქუდის ქვეშ შეიქმნა ტრენინგ და გადამზადების ცენტრი. ამან გაუწია კონკურენცია უნივერსიტეტს, რომელსაც უფრო თეორიულ, ზოგად ცოდნას აძლევს და არა სპეციფიურს, ასევე ვერ ასწრებს ყველა სიახლის გათვალისწინებას, რაც ხდება კანონმდებლობაში. . . არის ისეთი საკითხები მაგალითად ბუღალტერის, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა, სადაც მუდმივად ხდება საკანონმდებლო ცვლილება და სიახლეები და მუდმივად ყოველიურად მუნიციპალიტეტის მოხელეები 1-2 კვირიან გადამზადების კურსებზე მიდიან. არ ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტები ეფექტურად იმუშავებენ ასეთი ვიწრო, სპეციალური კურსების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

GIZ ადგილობრივი თვითმმართველოს განვითარება სამხრეთ კავკასიაში

ამ სიტუაციიდან გამოსავლად, რესპონდენტის აზრით შეიძლება წარმოვიდგინოთ პროვაიდერების განსაზღვრა კურსების სპეციფიკის მიხედვით. გარკვეული კურსებისთვის შესაძლოა უფრო რელევანტური პროვაიდერი იყოს უნივერსიტეტი, ხოლო სხვებისთვის - ალტერნატიული პროვაიდერები.

ინტერვიუებისას რესპონდენტები კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული დარგები და მიმართულებები, ცალსახად პრიორიტეტულია სამიზნე რეგიონებში, ამ მიმართულებით სწავლის მსურველთა რაოდენობა მცირეა.

არავის უნდა ეს ლანდშაფტის დიზაინერი, ქიმიკოსი მჭირდება წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის - არავის აინტერესებს ქიმია, ამავე დროს ამდენი სამართლის სპეციალისტი რად გვინდა არ ვიცი.

ბათუმის მერია

შესაბამისად, დგას ამ დარგების პოპულარიზაციის საჭიროება, რასაც გარე აქტორები პირველ რიგში თავად უსდ-ების ფუნქციად მიიჩნევენ.

უნივერსიტეტების სოციალურ მისიაზე გარე აქტორების მხოლოდ მცირე ნაწილმა გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, კვლევაში მონაწილე რამდენიმე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციას, აგრეთვე, წარმოადგენს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება:

საერთოდ არ ესმით (საზოგადოებას), რა დანიშნულება აქვს მაგალითად საკრებულოს. ზოგადად, როგორ ხდება სახელმწიფოს მართვა. რა განსხვავებაა ადგილობრივ და ცენტრალურ მმართველობას შორის. ხანდახან ისეთ საკითხებზე მირეკავენ, მე ვერაფრით გადავწყვეტ. ყველასთვის ცალ-ცალკე მიწევს ახსნა.

არც სკოლაში ასწავლიან, ვფიქრობ წესიერად, მაგრამ რომც ასწავლიდნენ, მაინც საჭიროა ასეთი პროგრამები უმაღლესი განათლების სისტემაში. ცოდნას გაიღრმავებენ, სიახლეებს გაიგებენ. გარდა ამისა, უნდა იყოს კურსები ზრდასრული მოსახლეობისთვის, რომელმაც სკოლა იმ დროს დაამთავრა, როცა ეს საერთოდ არ ისწავლებოდა.

ბათუმის საკრებულოს წარმომადგენელი

უნივერსიტეტის სოციალური ფუნქციის მნიშვნელოვნებაზე, აგრეთვე, კვლევაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც საუბრობენ. ორგანიზაციებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოცდილება. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით ის, რომ ზოგადად განვითარების ინიციატივებში მოსახლეობის ჩართულობა დაბალია, იქიდან მოდის, რომ არც სკოლა და არც უნივერსიტეტი არ უვითარებს მსგავს უნარებს:

უნივერსიტეტი სოციალური განვითარებისთვის საჭირო უნარებსაც უნდა უმუშავებდეს, მაგალითად, როგორ მართონ ამხანაგობები. საინფორმაციო უზრუნველყოფაც აკლიათ, მოწყვეტილები არიან რეალობას. უნივერსიტეტის ვებგვერდიც კარგად აჩვენებს მათ პასიურობას. NGO აქტიურობენ, ცდილობენ უსდ-ების ჩართვას. ჩვენი ინიციატივების დროს სახელმწიფო უნივერსიტეტში უამრავი შეზღუდვა დაგვხვდა, რომელიც ხელს უშლის ამ თანამშრომლობას. საბოლოოდ უნივერსიტეტის რგოლი ამოვარდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ქუთაისი

უსდ-ების ჩართულობის და აქტიურობის მაგალითი ხშირად არის რომელიმე მიზანმიმართული პროექტის შედეგი, რომელიც გარკვეული ჯგუფების და ინიციატივების გაძლიერებას იწვევს.

პროექტებში გვყავს ჩართული. ამის შემდეგ აქვთ ვალდებულება, რომ სხვებს გადასცენ მოპოვებული ცოდნა. საუნივერსიტეტო პროექტიც გვაქვს ომბუდსმენტთან ერთად: უფლებების სწავლების გაძლიერება: სამართლადამცვეები, პედაგოგები და ჟურნალისტები ერთად იღებენ მონაწილეობას.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ქუთაისი

რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები, აგრეთვე, ამხვილებენ ყურადღებას რეგიონში ცალკეული დარგების განვითარების სპეციფიკის მნიშვნელოვნებაზე უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამების შინაარსის განსაზღვრისას და მიიჩნევენ, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა რეგიონში მოსახლეობის დამაგრების როლი უნდა შეასრულოს.

რაც შეეხება განვითარებას, ჩვენი სამინისტროს სტრატეგიურ გეგმაში ცალსახად არის ხაზგასმული, რომ აუცილებელია არსებობდეს რეგიონებში მიზიდულობის ცენტრები. განათლების, კულტურის მხრივ, უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი სასწავლო კერები და ცენტრისკენ არ უნდა მოდიოდეს მოსახელობა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ევრონტეგრაციისა და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტი

რესპონდენტები საუბრობენ, რომ უნივერსიტეტების დაბალი ხარისხი და კურსდამთავრებულების კარიერული წინსვლის დაბალი შანსები ხელს უწყობს ახალგაზრდების გადინებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც რეგიონული და არც ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევაში, არ ფლობდნენ მკაფიო ხედვას, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ამ მიმართულებით მკაფიო სტრატეგიის შემუშავება.

კვლევაში ჩართული გარე აქტორების წარმომადგენლებს კიდევ უფრო მეტად უჭირთ რეგიონული განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ინოვაციების ინტეგრირების, ახალი ცოდნის შექმნის, კვლევის კომერციალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტების როლის დანახვა. ამ შემთხვევაშიც, ეს მიმართულება ერთი სამინისტროს - ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივად მიიჩნევა.

ფუნქცია მეტწილად ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივაა. ისინი ახორციელებენ საქმიანობას და თანამშრომლობენ. ისინი არიან უფლებამოსილი. რეგიონში ხელს უწყობენ ინოვაციურ განვითარებას, აარსებენ ცენტრებს, ხელს უწყობენ გამომგონებლებს და ფაბლაბებს. არანაირი ზეგავლენა ამ პროცესებზე რეგიონული განვითარების სამინისტროს არ აქვს. ეხლა ვმუშაობთ 2018-2021 რეგიონული განვითარების სამთავრობო პროგრამაზე და ერთ-ერთი კომპონენტი არის მათ მიერ (ეკონომიკის სამინისტროს მიერ) მოწოდებული ინფორმაცია. პროგრამაში იდენტიფიცირებული იქნება პრობლემები, მათი გადაჭრის გზები, შესაბამისი პროგრამებით და დაფინანსებით. მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და წლის ბოლოს უნდა იყოს მიღებული.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონტეგრაციისა და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტი

ამ მიმართულებით ინოვაციების სააგენტოს მუშაობას პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევენ მუნიციპალიტეტებიც, თუმცა უსდ-ები ამ პროცესში ნაკლებად მოიაზრებიან, როგორც მნიშვნელოვანი ინსტიტუციური აქტორები. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ხედვით, ინოვაციის ცენტრები განათლების სისტემის პარალელურად იქმნება და უნივერსიტეტები, როგორც ორგანიზაციები ამ პროცესში წამყვან აქტორებად არ განიხილება. სავარაუდოდ, ისევ ინდივიდების და არა ინსტიტუციების დონეზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აზრით ინოვაციების კუთხით ცოდნის მობილიზაციისთვის უფრო მარტივ და ქმედით გზას საერთაშორისო ექსპერტიზის ჩართვა წარმოადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის ანალიზში, მაგალითად უცხოელები მყავს ჩართული - გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ისეთი უცხოელები არიან, იციან ძალიან კარგად აქაურობა, ჩვენზე უკეთესად - ან ქირაობენ სპეციალურ ექსპერტებს, რომლებიც დოკუმენტაციის შეფასებას ახდენენ. როცა გრანტზე ვსაუბრობთ, დახმარებაზე ან სუბსიდირებაზე - იმ

დონორებს მეტად ვენდობით, რომლებთანაც გვიმუშავია, ვიდრე უნივერსიტეტებს.

ბათუმის მერია

საერთაშორისო ორგანიზაციები და რეგიონული განვითარების სამინისტრო ამხვილებენ ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან რისკზე, რომელიც ამ სტრატეგიას ახლავს თან - ამ შემთხვევაში არ ხდება ცოდნის დაგროვება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, შესაბამისად, იზღუდება ამ ცოდნის რეპლიკაციის ან ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების პერსპექტივები.

ასეა, მაგრამ ახა რა არის გამოსავალი. რისკზე წასვლას ისევ ეს სტრატეგია სჯობს, უცხოური ექსპერტიზის ჩართვის. მინდა გითხრათ, რომ კონტრაქტებში ჩადებული გვაქვს ქართული მხარის თანამონაწილეობის პირობა, მაგრამ როგორც ვიცი ეს ძირითადად ქართულ ფირმებს ეხება და ექსპერტებს და არა უნივერსიტეტებს.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით ამ ვითარებას ხელს უწყობს პასიურობა - ინტერესისა და პროაქტიული ქმედებების უნივერსიტეტების მხრიდანაც.

პრობლემაა, რომ უნივერსიტეტი თავად არ ყიდის პროდუქტს არ გამოდის გარეთ. მიმართულია მარტო სტუდენტზე. მნიშვნელოვანია გარე ზეწოლაც მაგალითად დონორის, რომელსაც გარკვეული პირობები შეუძლია ჩაუდოს და ამითი მისცეს განვითარების და აქტიურობის ბიძგი, მაგრამ შიდა ინსტიტუციური განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. მარტივი და მოქნილი სისტემის არსებობა, რომელიც ღიაა თანამშრომლობისათვის. ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი წინაპირობა დონორების დაინტერესებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც პოტენციურად შეიძლება გაიზარდოს უსდ-ების როლი საჯარო მოხელეების გადამზადებაა. თუმცა ამ მიმართულებითაც სახელმწიფო უწყებები ალტერნატიულ სტრატეგიებს არჩევენ და ცდილობენ, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას თავი აარიდონ.

რთულია, ვთქვათ რომელი ჯობია. გვექონია ორივე შემთხვევა. ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა პირდაპირი მოთხოვნა, რომ არ სჭირდებოდა სხვა

უწყების ჩართვა, თავად ზუსტად იცოდნენ რაში უნდოდათ გადამზადება და გვითხრეს, რომ ჩვენი აკადემიიდან გვირჩევნია ამის გაკეთება. სხვა ორგანიზაციისგან მიღებული პროდუქტი იქნება ზოგადი და ჩვენი საჭიროებები ზუსტად ჩვენ ვიცით. რთული იქნებოდა ამის კონკურსის წესით გაკეთება, გაიწელებოდა დროში, შედეგიც ის იქნებოდა თუ არა, რაც ფიანანსთა სამინისტროს უნდოდა, არ ვიცით. კონკრეტული, ტექნიკური საკითხები იყო რაც მათ სჭირდებოდათ და ამის მიღება ღია ბაზარზე ცოტა რთულია ხოლმე. თუ საუბარია ტრენინგზე პროექტის მართვაში, ცხადია. შეიძლება მისი ღია ბაზარზე მიღება. ანუ გააჩნია რა ტიპის ცოდნაზეა მოთხოვნა.

საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი

ზოგადად, მეორე მოდალობის, მეწარმეობის ან ჩართული უნივერსიტეტის მოდელი ნაკლებად განიხილება გარე აქტორების მიერ, როგორც წამყვანი მოდელი უსდ-ების რეგიონულ განვითარებაში ჩართულობისათვის.

გარე აქტორების ხედვით რეგიონული უნივერსიტეტების მთავარ მისიას ამ ეტაპზე ბაზრისთვის შესაბამისი მიმართულებებით კვალიფიციური კადრების მიწოდებაა, რაც გულისხმობს მოკლევადიან პერსპექტივაში პრიორიტეტული დარგების მიხედვით პროგრამების მრავალფეროვნებისა და ხარისხის გაზრდას, ისევე როგორც უსდ-ების მიერ ბაზარზე კადრების მიწოდების უფრო ქმედითი სტრატეგიების დანერგვას, როგორცაა კარიერული ცენტრები და საინფორმაციო კამპანიები, აქტიური მუშაობა როგორც დამსაქმებელთან (მიწოდების ეფექტურობის გაზრდისთვის), ისე აბიტურიენტებთან (პერსპექტიულ დარგებზე სწავლის მოთხოვნის გაზრდისათვის).

თავი 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხედვა რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის შესახებ

გარე აქტორებისაგან განსხვავებით, უნივერსიტეტები საკუთარ როლს რეგიონულ განვითარებაში უფრო ფართოდ მოიაზრებენ, კერძოდ, მათი ხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსპექტიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა ე.წ. „ჩართული უნივერსიტეტის“, “მეორე მოდალობის უნივერსიტეტისა“ და „რეგიონული ინოვაციების სისტემის“ მოდელის განვითარება.

ამ მოდელების ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სოციალური განვითარების ფუნქციის შეთავსება და კვლევითი პროცესის გამოყენებითი, ინტერდისციპლინური ხასიათი.

მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს, როგორც საზოგადოების ინფორმატორმა, ინოვაციური ქსელების კოორდინატორმა, პოლიტიკის ანალიზსა და შემუშავებაში ჩართულმა აქტორმა“.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთია, რომ მეზღვაურებს ვამზადებთ და რეგიონში რესურსების შემოღინებას ვუწყობთ ხელს, მაგრამ უნივერსიტეტის როლს მომავალში ასევე ვხედავ კვლევებში, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ ცენტრში არსებული კვლევითი ინსტიტუტები ჩვენთან თანამშრომლობის გარეშე ვერ შეძლებენ ეფექტურად მუშაობას, ბევრი საინტერესო რამის ერთობლივად გაკეთება შეიძლება.

ბათუმის საზღვაო აკადემია

აგრარული მიმართულებით ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. სუბტროპიკული ჯიშების კვლევის მიმართულებით, მაგალითად.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მნიშვნელოვანი მიმართულებაა პედაგოგების მომზადება, ამ მხრივ კონკურენტი რეგიონში არ გვყავს.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოტენციური კვლევითი და სასწავლო მიმართულებების გარდა უსდ-ების წარმომადგენლები კვლევითი მიმართულებით მუნიციპალიტეტებთან მუშაობის წარსულ პოზიტიურ მაგალითებსაც ასახელებენ:

“სტრატეგიის ნაწილი ჩვენ დავამუშავეთ: ქალაქის გამწვანება, პარკების დაგეგმვა ტრანსპორტის სვლა-გეზების დაგეგმვაშიც იყვნენ ჩვენი პროფესორები ჩართულები. ქალაქის ქონების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე. . . სტრატეგიების აწყობისას ქალაქის კუთხით უფრო სერიოზულად ვართ ჩართულები”.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი

ზოგიერთი კვლევითი ცენტრის გარკვეულ პროდუქტებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თუმცა, უსდ-ების წარმომადგენლები ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზეც, რომ ჩართული უნივერსიტეტისა და რეგიონული ინოვაციების სისტემის მოდელის ეფექტურად დანერგვის მნიშვნელოვანი პირობაა ხელშემწყობი გარე ინსტიტუციური გარემოს არსებობა. ამ მიმართულებით ისინი რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას ხედავენ.

პირველ მნიშვნელოვან პრობლემად ისინი უნივერსიტეტების მიმართ ნდობის ნაკლებობას მიიჩნევენ.

ბანკები და ა.შ. არ ენდობიან თუ რა ხდება, ადგილობრივი არ უნდათ... ინდუსტრიაში მთავარ ფუნქციებზე მხოლოდ ჩამოსულები არიან. ნდობის პრობლემაა ეტყობა, ისეთი სოციალური ურთიერთობებია, რომ ვერ დაამყარებდნენ წესრიგს.”

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას, უნივერსიტეტის ხედვით, წარმოადგენს უნივერსიტეტის პროდუქტის აბსორბციის დაბალი პოტენციული ბიზნეს სტრუქტურებსა და სახელმწიფო უწყებებში.

“მაგალითად დუალური განათლება: ბიზნესი არ გამოთქვამს მზადყოფნას. უფრო აქტიური უნდა იყოს გარემო. ჩვენგან მეტი პოტენციალი გადის ვიდრე საზოგადოება ითვისებს.”

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეგიონულ პრიორიტეტებზე მორგება ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტია. ავტორიზაციის ახალი პირობებიც გვავალდებულებს ამ მიმართულებით მკაფიო ხედვის არსებობას. მაგრამ, კარგად ვერც წარმოიდგენ რა სჭირდებათ [დამკვეთებს]. რომ ეკითხები, მკაფიოდ ვერც გაიგებ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

“ასევე შეიძლება, რომ უსდ-მ გააკეთოს სხვადასხვა პროგრამები მუნიციპალიტეტებში, მაგ. პრაქტიკის ფარგლებში ჩაერთონ სტუდენტები, სამაგისტრო ნაშრომების კეთებისას ასევე შეუძლიათ ჩართვა. თუმცა რეგიონის/რეგიონული განვითარების განყოფილებები სრულებით არ აქტიურობენ.”

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უსდ-ებთან ინტერვიუებში, აგრეთვე, გამოიკვეთა შიდა ორგანიზაციული პრობლემები, რომლებიც, რესპონდენტების აზრით ხელს უშლის რეგიონულ განვითარებაში აქტიურად ჩართვას.

ძირითადად, ეს პრობლემები ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაკლებობას უკავშირდება. დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხან ერთი და ხან მეორე პრობლემა დგას უფრო მწვავედ. ზოგადად, უსდ-ების ინფრასტრუქტურის განვითარება ორივე რეგიონის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ბათუმში მიმდინარეობს სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, ორივე რეგიონში ვითარდება კვლევითი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა.

უსდ-ების აზრით, ინფრასტრუქტურის პრობლემების მოგვარება უფრო მარტივია, რადგან ეს მხოლოდ ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასთან არის დაკავშირებული. გაცილებით უფრო რთული ამოცანაა ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება.

როგორც სწავლების, ისე კვლევის მიმართულებით დგას ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის პრობლემა. ერთის მხრივ, უნივერსიტეტის შიგნითაც ვერ ხერხდება ცოდნის ეფექტურად გავრცელება. მაგალითად, მთელი რიგი მიმართულებებით გვიწევს დამატებითი მექანიზმების შემოღება, რომ ინსტიტუტების თანამშრომლები უფრო აქტიურად ჩართონ სასწავლო პროცესში.

აგრარული მიმართულება ისეთი მოთხოვნადია და სათანადო ხარისხის კადრებს ვერ ვამზადებთ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უსდ-ების აზრით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით და უცხო ენის ცოდნის თვალსაზრისით აკადემიური პერსონალისა და უსდ ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ამაღლება.

ამ საბაზო კომპეტენციების ნაკლებობა ზოგადად ხელს უშლის უნივერსიტეტების, როგორც ორგანიზაციის განვითარებას, ისევე როგორც სასწავლო პროგრამების და კვლევის ხარისხის ამაღლებას.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძლივს დავიბრუნეთ გაფუჭებული სახელი. მინიმალური ამოცანა შესრულებულია. ახლა შემდგომი ეტაპია განვითარება. საზღვაო-სანაოსნო სფეროში საერთაშორისო ბაზრისთვის ვამზადებთ კადრებს. უცხო ენის ცოდნა საკვანძოა და სასწავლო პროცესის ძირითადად ინგლისურ ენაზე წარმართვაა საჭირო. ცალკეულ კურსებს პროფესიონალი მეზღვაურები ასწავლიან, რომლებმაც იციან ტერმინოლოგია და საკომუნიკაციო ენა, მაგრამ სხვა ზოგად საგნებში რა ვქნათ?

ბათუმის საზღვაო აკადემია

რეგიონული უსდ-ები ასევე მიიჩნევენ, რომ რეგიონებში აკადემიის განვითარებას აფერხებს ცენტრთან არაეფექტური თანამშრომლობა ცოდნის დიფუზიის მიმართულებით - ერთობლივი პროგრამების, ერთობლივი კვლევითი პროექტების ნაკლებობა.

ერთობლივი მუშაობის კარგი მაგალითია განათლების ადმინისტრირების მიმართულებით მუშაობა ბათუმსა და ქუთაისში ილიას უნივერსიტეტთან. მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ მეტი მსგავსი ინიციატივა განხორციელდეს.

ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი

შავი ზღვის კვლევის მიმართულებით ძალიან საინტერესო იქნება თანამშრომლობა ილიას უნივერსიტეტთან.

ბათუმის საზღვაო აკადემია

რეგიონული უსდ-ები ცენტრთან და ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობის მოდელად blended სწავლებას, ასევე დისტანციური სწავლების ელემენტების ჩართვას ასახელებენ.

საინტერესოა, რომ რეგიონული უსდ-ები ასევე მკაფიოდ ხედავენ ცენტრში არსებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივებს ორგანიზაციული მართვის საკითხებში. ამ კუთხით საინტერესო მიმართულებებს წარმოადგენს კვლევისა და სწავლის ხარისხის მართვის სისტემების განვითარება (რომელიც უსდ ავტორიზაციის ახალ მოთხოვნას წარმოადგენს), პლაგიატთან ბრძოლა და კვლევის პროცესის მართვის საკითხები.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ნაწილიდან კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია იკვეთება - ერთის მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ნაწილი მიიჩნევს, რომ სწავლებისა და კვლევის ხარისხი დაბალია იმისათვის, რომ უსდ-ებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ რეგიონულ განვითარებაში. მაგრამ მეორეს მხრივ, ამ ფონზე უსდ-ები მაინც გამართლებულად მიიჩნევენ საკუთარ არსებობას (მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის დაკმაყოფილების ფუნქციას არასათანადოდ ასრულებენ). კერძოდ, ცალკეული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ რეგიონულ უნივერსიტეტებს სხვა ჩრდილოვანი ფუნქცია აქვთ - შრომის ბაზრის განუვითარებლობის პირობებში უნივერსიტეტი დასაქმების მნიშვნელოვან კერად აღიქმება.

რეგიონალური განვითარების ფუნქციაში პირდაპირ ვერ ერთვება {უნივერსიტეტი}, მხოლოდ ირიბად. ჩვენთან ეს გააზრებული და მიზანმიმართული არ არის. მაგრამ უსდ-ს ძალიან დიდი ფუნქცია აქვს, ამდენ ხალხს ასაქმებს.

დისკუსიისას, რამდენად შეცვლის ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა რეგიონის საგანმანათლებლო კლიმატს, როგორც უსდ-ები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები მას საკუთარი სისტემის ნაწილად ვერ ხედავენ, რაც შეიძლება ინფორმაციის ნაკლებობით იყოს გამოწვეული. ზოგი მოსაზრებით, ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქუთაისში დადებითი ძვრების მომტანი იქნება.

ქუთაისი ცოდნის ქალაქად ვერ ჩამოყალიბდება, მაგრამ ეს უნივერსიტეტი ირიბად განავითარებს ქალაქს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქუთაისი

სხვა მოსაზრებებით, ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი უცხო რჩება რეგიონისთვის, როგორც დაგეგმვის გაუმჭვირვალობის, ისე მისი ელიტარულობის გამო.

ეგ სან დიეგოს თუ გაუწევს კონკურენციას. ჩვენ არა მგონია, შეგვეხოს.

უსდ-ს წარმომადგენელი, ქუთაისი

რეგიონული უნივერსიტეტების, ისევე როგორც კვლევაში ჩართული არასახელმწიფო აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები) აზრით უსდ-ების ადგილზე განვითარებას ისიც აფერხებს, რომ არ არსებობს მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკა მათ მომავალთან დაკავშირებით.

გაურკვეველია, გვინდა თუ არა ცალკეული უნივერსიტეტი ცალკეულ რეგიონში. რატომ? როგორ გავავლოთ ზღვარი პროფესიულ და აკადემიურ განათლებას შორის? რომელ სასწავლებელს რომელი დატვირთვა მივანიჭოთ? ვფიქრობ, თავად უსდ-ებსაც უნდა გააჩნდეთ ამაზე აზრი და ამ მხრივ სახელმწიფო და რეგიონული სტრატეგიაც უნდა არსებობდეს.

საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი

თავი 5: რეგიონული განვითარების აქტორები და ქსელის მუშაობის დინამიკა

მოცემული კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში რეგიონული განვითარების ქსელური მართვისთვის, სადაც უსდ-ები (ბიზნეს სექტორთან, ცენტრალური და რეგიონული მმართველობის ორგანოებთან ერთად) ამ ქსელის ელემენტებს წარმოადგენენ.

ერთის მხრივ ქსელური მუშაობის უპირატესობებს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული რესურსების ოპტიმიზაცია და ეფექტური გამოყენება, ხოლო მეორეს მხრივ წარმოიქმნება ქსელის მუშაობის კოორდინირებასთან დაკავშირებული დამატებითი დაბრკოლებები და რისკები.

ქსელების მუშაობის შეფასების თანამედროვე მოდელების თანახმად, ქსელური მუშაობა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს მიზნების (ამ შემთხვევაში მდგრადი და ინკლუზიური რეგიონული განვითარების უზრუნველყოფა) ეფექტურ მექანიზმს, თუკი მკაფიოდ ჩანს ამგვარი მუშაობის სარგებელი ქსელში შემავალი ერთეულებისთვის როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში.

მოცემულ ანგარიშში რეგიონის განვითარების პროცესის, როგორც ქსელური მუშაობის, ანალიზი ეყრდნობა ადაპტირებულ მოდელს, რომელიც გულისხმობს ქსელის მუშაობის უპირატესობების/შედეგების შეფასებას ორ განზომილებაში (Provan, 2001):

- ქსელის დონეზე (იგულისხმება ქსელში შემავალი სუბიექტების ერთობლიობა); და
- ქსელში შემავალი ცალკეული სუბიექტების (ორგანიზაციების) დონეზე.

სქემა # 2 აღწერს ქსელის ორ განზომილებას და თითოეულ განზომილებაში ქსელის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმებს.



სქემა # 1 ქსელის ეფექტურობის შეფასების განზომილებები და კრიტერიუმები (ადაპტირებული მოდელი)

ქსელის დონე

ქსელის დონეზე ეფექტურობის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს:

ქსელის სიმწიფე (მიზნების გაზიარება) და მულტიპლექსურობა (კავშირების სიმყარე) იგი გულისხმობს ქსელში შემავალ სუბიექტებს შორის ქსელის მიზნების შესახებ ინფორმირებულობასა და ამ მიზნების გაზიარების ხარისხს. ასევე, ქსელის სიმწიფე მოიაზრებს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისი მოკლევადიანი ამოცანების კოორდინირებულად განხორციელებას ქსელის ფარგლებში.

მმართველი ორგანიზაციის (ბროკერის) ფუნქცია უმნიშვნელოვანესია ქსელის წარმატებისთვის. როდესაც თანხები პირდაპირ ნაწილდება მრავალ პროვაიდერს შორის, არსებობს მეტი რისკი სერვისების დუბლირებისა, მეტი თანხის მოზიდვის მიზნით. მმართველი ორგანიზაციის ფუნქციაა რესურსების იმგვარი განაწილება, რომ გაიზარდოს ქსელის ჯამური ეფექტურობა კლიენტების (თემის) საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ზოგჯერ ცალკეული აგენტების ინტერესების ფასად. ეს როლი, შემდეგ, უზრუნველყოფს ქსელისა და მისი აქტივობების ლეგიტიმაციას (Provan and Milward, 1995).

რესპონდენტებთან გასაუბრების შედეგები ქსელის დონეზე მუშაობის რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს.

პირველი მნიშვნელოვანი პრობლემა რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ უსდ-ებში ინფორმაციის ნაკლებობაა. კერძოდ:

- კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა (უსდ-ს წარმომადგენლები) დეტალურად არ იცნობდა რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტებს;
- მიუხედავად უსდ-ების ცალკეული წარმომადგენლების ჩართულობისა ამ სტრატეგიების შემუშავების პროცესში, თავად უსდ-ების წარმომადგენლები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულნი ამ პროცესის შესახებ, რაც შესაძლოა იმის დადასტურებასაც წარმოადგენდეს, რომ ამ ჩართულობას არ აქვს სისტემური/ორგანიზაციული ხასიათი;
- რეგიონებში ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ განვითარების ხედვას რეგიონის პოლიტიკის დამგეგმავი სუბიექტებიც ხშირად არ იცნობენ. განვითარების ხედვა მათ შესახებ იწერება და არა მათთან ერთად. განვითარების ხედვას თან არ ახლავს სამოქმედო გეგმა და არ არის ფინანსურად უზრუნველყოფილი.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რეგიონული და ცენტრალური მმართველობის ორგანოებში ბუნდოვანი ხედვა უსდ-ების როლთან დაკავშირებით - უმეტეს შემთხვევაში უსდ მოიაზრება, როგორც განვითარების პროგრამების ბენეფიციარი და არა პარტნიორი.

უმაღლესი განათლების ნაწილი ნაკლებად, თითქმის არ არის კვეთაში მუნიციპალიტეტის ან რეგიონის განვითარებასთან, რადგან როგორც აღვნიშნეთ რაც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტების განვითარებასთან მორგებულია მათ უფლებამოსილებებსა და მათ კომპეტენციაზე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ასევე, ცენტრალური და რეგიონული მართვის სტრუქტურებში არ არსებობს შეთანხმებული სტრატეგიები ქსელური მუშაობის კოორდინაციის თვალსაზრისით.

რეგიონული განვითარების სამინისტროში მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტების კონკრეტული როლის განსაზღვრა რეგიონული განვითარების სტრატეგიებში ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეა, ადგილობრივი თვითმმართველობა კი ამ კუთხით ჩამოყალიბებულ ხედვას არ ფლობს, რადგან უმაღლესი განათლების სისტემის მართვის საკითხებს განათლების სამინისტროს პრეროგატივად მიიჩნევენ, ინოვაციების მართვის საკითხზე პასუხისმგებელ უწყებად კი ეკონომიკის სამინისტრო მოიაზრება.

პირველ რიგში უმაღლესი განათლება და უმაღლესი სასწავლებლები რეგიონებში, ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებას და რეგიონების თვითმართველობების კომპეტენციაში არ შედის ეს საკითხი. მათ მხოლოდ ნებაყოფლობითი უფლებამოსილება აქვთ პროფესიული სასწავლებლების კუთხით და შესაძლებელია ჰქონდეთ დამხმარე ფუნქცია.

*რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან
ურთიერთობის დეპარტამენტი*

მართვის ამ კომპლექსური მოდელის ფარგლებში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მართვაში ჩართული თითოეული უწყების (დარგობრივი სამინისტროები, რეგიონული განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) როლი რეგიონულ განვითარებაში ჩართულ აქტორებს შორის რესურსების განაწილებასა და მართვაში.

ორგანიზაციის დონე

ორგანიზაციის, ანუ ამ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ქსელის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია ის, თუ რამდენად მომგებიანია ორგანიზაციისთვის ქსელში ყოფნა საკუთარი მიზნების ლეგიტიმაციის, რესურსებზე წვდომის გაზრდისა და სერვისების წარმოების ხარჯის შემცირების თვალსაზრისით.

ქსელში გაერთიანებამ უსდ-ებისთვის შეიძლება შექმნას სარგებელი მნიშვნელოვან სერვისებზე წვდომის გაუმჯობესებით (მაგალითად, ორგანიზაციული განვითარების პროგრამები, ტექნიკური დახმარება, დამატებითი დაფინანსება), უტილიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესებით, არასაჭირო სერვისების მინიმუმაციით, სერვისების წარმოებასთან დაკავშირებული საერთო ხარჯების შემცირებით.

კვლევაში მონაწილე უსდ-ებმა რეგიონულ განვითარებაში ჩართულობის შემაფერხებელ მრავალ შიდა ორგანიზაციულ და კონტექსტუალურ ფაქტორზე გაამახვილეს ყურადღება.

კერძოდ, უსდ-ებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ რეგიონულ განვითარებაში აქტიური ჩართულობის მასტიმულირებელ ფაქტორს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების არსებობა წარმოადგენს. ეს ფაქტორი აგრეთვე, ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნების ლეგიტიმაციას უსდ-ების სტრატეგიულ გეგმებში. თუმცა ამ ფუნქციის რეალიზაციისთვის საჭიროა უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხის მართვის სქემებში გარკვეული მექანიზმების ჩადება, რომლებიც:

- შექმნის სტიმულებს პროცესში ჩართულობისათვის (მაგალითად, დაფინანსების სქემები, სხვა ტიპის წამახალისებელი მექანიზმები უსდ-ებისთვის და მათი პარტნიორებისთვის);
- ხელს შეუწყობს ცენტრსა და რეგიონს შორის თანამშრომლობას კარგი პრაქტიკისა და ცოდნის ეფექტური გავრცელებისათვის, როგორც სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების, ისე ორგანიზაციული მართვის საკითხებში.

უსდ-ების ხედვით, დღეს უნივერსიტეტსა და მათი კვლევის გარე დამკვეთებს (საჯარო მართვის უწყებები და ბიზნეს სექტორი) შორის ცოდნის ტრანსფერის შემაფერხებელი ბარიერები გაცილებით მეტია, ვიდრე ხელშეწყობი გარემოებები. ეს ფაქტორები ძირითადად გარე დამკვეთის მხრიდან ინოვაციების აბსორბციის დაბალ პოტენციალს უკავშირდება, ისევე როგორც ორგანიზაციული კულტურის განსხვავებებს გარე დამკვეთ ორგანიზაციებსა და აკადემიაში - კვლევითი პროდუქტის გარე დამკვეთების (საჯარო მართვის უწყებები, ბიზნეს სექტორი) ინტერესები და მოლოდინები ძირითადად არ ემთხვევა სამეცნიერო სექტორის კვლევის სპეციფიკას (ილიას უნივერსიტეტი, 2016), კერძოდ განსხვავებულია:

- ფოკუსი/კვლევის არეალი გარე დამკვეთები ჩვეულებრივ დაინტერესებულნი არიან ძალიან სპეციფიური, ვიწრო კვლევებით;
- დროის ჩარჩოები გარე დამკვეთები ცდილობენ, შედეგი დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდში დაინახონ, რაც ხშირად წინააღმდეგობაშია აკადემიური კვლევის დროით ჩარჩოებთან;
- ორგანიზაციული მართვის თავისებურებები ჰორიზონტალური მართვის სტრუქტურები, რომლებიც ხშირად დამახასიათებელია გარე დამკვეთი ორგანიზაციებისთვის (ბიზნეს სექტორში), ნაკლებად გვხვდება აკადემიურ გარემოში, სადაც უფრო იერარქიული სტრუქტურა მოქმედებს.
- რისკისადმი დამოკიდებულება მეცნიერებს ხშირად არ სურთ რისკზე წასვლა და ნაკლებად დაინტერესებულნი არიან თავიანთი სამეცნიერო მიღწევების კომერციული ღირებულებით.

- კონფიდენციალობისა და გასაჯაროების მოთხოვნების კონფლიქტი უნივერსიტეტებში მკვლევრების კარიერა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღმოჩენების გასაჯაროებაზე, მაშინ როდესაც კომერციულად ღირებული გამოყენებითი კვლევა უნდა მოერგოს ფირმის ვიწრო ინტერესებს.
- ინტერდისციპლინურობის ხარისხი სამეცნიერო სფეროსთვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირები ერთი დისციპლინის შიგნით, მაშინ როდესაც გარე დამკვეთისთვის საინტერესო კვლევა უფრო ინტერდისციპლინური ხასიათისაა.

ამ სტრუქტურული ბარიერების დასაძლევად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ინსტრუმენტების საშუალებით ისეთი წამახალისებელი მექანიზმების შექმნა, რომელიც აკადემიას, საჯარო მართვის სტრუქტურებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის მოტივაციას გააძლიერებს, ისევე როგორც შეამცირებს შემაფერხებელ ბარიერებს ამგვარი თანამშრომლობისთვის.

საერთაშორისო გამოცდილება და რეკომენდაციები

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პოლიტიკის ინსტრუმენტების და ინტერვენციების პაკეტი ოთხ დიდ ჯგუფად შეიძლება გავაერთიანოთ: (i) პოლიტიკის დაზუსტება, (ii) მასტიმულირებელი დაფინანსების სქემების შექმნა, (iii) ქსელური მუშაობის წახალისება და (iv) ტექნიკური დახმარება.

ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი იმასაც აჩვენებს, რომ მიუხედავად აქცენტისა რეგიონულ განვითარებაზე, ამ ინტერვენციების უმეტესობა ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში ცენტრალურ და არა რეგიონულ დონეზე ხორციელდება.

1. პოლიტიკის დაზუსტება

როგორც ანგარიშში არაერთხელ აღინიშნა, რეგიონულ განვითარებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვის პრიორიტეტი თანმიმდევრულად არის ასახული ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე ეს პრიორიტეტი ფიგურირებს განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი მიზნების დოკუმენტებში და განათლების ხარისხის მართვის (ყუდ ავტორიზაციის) ახალ სტანდარტში.

მიუხედავად ამისა, ჩარჩო დოკუმენტებში ეს პრიორიტეტი მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება და არ ჩანს ხედვის განხორციელების კონკრეტული მექანიზმები.

ასევე, ამ დოკუმენტებში მკაფიოდ არ იკითხება დაშვება, რომ ზოგადი მოთხოვნები კვლევის პრაქტიკული ღირებულების გაზრდის, კვლევითი პროდუქტის გამოყენებადობის გაზრდის, კვლევის კომერციალიზაციის თვალსაზრისით შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეგიონის კონტექსტის გათვალისწინებით.

ამ კუთხით არსებული ემპირიული კვლევები მსოფლიოს მასშტაბით გვაჩვენებს, რომ რეგიონულ განვითარებაში ზოგადი მისიის ფარგლებში ჩართულობის მოდელები შეიძლება განსხვავდებოდეს. ამ მოდელების განვითარებისთვის კი სპეციფიური პოლიტიკის ინსტრუმენტებია საჭირო (Tripp et al, 2014).

შესაბამისად, საქართველოში პრიორიტეტს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რეგიონული ჩართულობის რომელი მოდელის გამოყენებაა მიზანშეწონილი

(რეგიონისა და უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე) და როგორ შეიძლება ამ მოდელების მხარდაჭერა პოლიტიკის კონკრეტული ინსტრუმენტების მეშვეობით.

ამ მხრივ, საინტერესო მაგალითს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფო - რომელიც პირველი ევროპული ქვეყანაა, სადაც შემუშავდა უნივერსიტეტების კომერციალიზაციის ეროვნული პოლიტიკა (Geuna and Muscio, 2009).

ანალოგიური პოლიტიკის დოკუმენტები შეიძლება შემუშავდეს რეგიონულ განვითარებაში ჩართულობის სხვა მოდელებისათვის, მაგალითად როგორც არის ინოვაციური სისტემების მოდელი ან ჩართული უნივერსიტეტის მოდელი.

2. რეგიონული განვითარებისათვის თანამშრომლობის წამახალისებელი დაფინანსების სქემების ამოქმედება:

უსდ-ების რეგიონულ განვითარებაში ჩართულობის დივერსიფიცირებული მოდელების იდენტიფიცირების პარალელურად (სხვადასხვა უსდ - საკუთარი და რეგიონის სპეციფიკიდან შესაძლოა განსხვავებული მოდელით მოქმედებდეს) მნიშვნელოვანია დაფინანსების სქემებში წახალისების მექანიზმების ინტეგრირება.

საერთაშორისო პრაქტიკასა და რესპონდენტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ამ მხრივ საინტერესო მიდგომებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა. დივერსიფიცირებული დაფინანსება უსდ-ების განსხვავებული მისიების ფორმირებისათვის

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში „მესამე მისიის“ განხორციელებისათვის სპეციალური დაფინანსების სქემებია: (i) შედეგზე ორიენტირებული კვლევების დაფინანსება გაერთიანებულ სამეფოში 7 კვლევითი საბჭოს მიერ; (ii) დაფინანსება კომერციული შედეგის მქონე კვლევებისთვის ისევე როგორც (iii) რეგიონულ/ადგილობრივ განვითარებაში მონაწილეობისთვის.

შვედეთში ინოვაციების სისტემის სააგენტო Swedish VINNOVA (დაარსდა 2001 წელს) უზრუნველყოფს დაფინანსებას საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევებისთვის და მიზნად ისახავს აკადემიის, ფირმებისა და პოლიტიკის აქტორებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ყოველწლიურად ამ პროგრამებში 220 მილიონი ევრო იხარჯება. რეგიონულ განვითარებაში წვლილის შეტანის გარდა VINNOVA-ს ირიბ მისიას წარმოადგენს აკადემიური კულტურის ცვლილების წახალისება, მეწარმეობის

კულტურის განვითარება და უსდ-ებს შორის კონკურენციის სტიმულირება. VINNOVA რამდენიმე ინიციატივას ახორციელებს. ეროვნული პროგრამა „ძირითადი აქტორები“ Key Actors (დაიწყო 2006 წელს) კვლევის კომერციალიზაციის კუთხით პერსპექტიული ორგანიზაციების, მიმართულებების გამოვლენას გულისხმობს. მეორე ინიციატივა VINN ხელს უწყობს ე.წ. წარმატების კლასტერების ფორმირებას კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით. VINNVÄXT პროგრამა რეგიონის საჭიროებებზე დაფუძნებულ კვლევებს აფინანსებს, რომელთა განმახორციელებლები ერთდროულად არიან ბიზნესის წარმომადგენლები, უსდ-ები და პოლიტიკის მაფორმირებელი უწყებები.

ავსტრიაში მაგალითად, ამ მიმართულებით მოქმედებს პროგრამები COMET, BRIDGE and COIN ისევე როგორც, Christian Doppler Laboratories პროგრამა. პროგრამა COMET ხელს უწყობს ისეთი ერთობლივი კომპანიების ფორმირებას, რომლებშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტები და კერძო სექტორი. COIN ხელს უწყობს უშუალოდ კვლევითი პროექტების განხორციელებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის, ხოლო პროგრამა BRIDGE ხელს უწყობს ტრანსლაციური კვლევის განვითარებას.

ბ. დამაბალანსებელი დაფინანსება რეგიონული უნივერსიტეტების განვითარებისთვის

საერთაშორისო პრაქტიკა და რესპონდენტების უკუკავშირი იმაზეც მიანიშნებს, რომ რეგიონულ უნივერსიტეტებს „მესამე მისიის“ განხორციელებაში მხარდაჭერა სჭირდებათ. ამისათვის რელევანტური პოლიტიკის ინსტრუმენტს შეიძლება წარმოადგენდეს რეგიონული უნივერსიტეტების განვითარებისთვის დამაბალანსებელი დაფინანსების სქემების არსებობა. ამგვარი დაფინანსება უზრუნველყოფდა განათლების გარკვეული მინიმალური დონის უზრუნველყოფას იმ უსდ-ებისთვისაც, რომლებიც ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ. დადებითი ეფექტი ამ მოდელის ამუშავებისას იქნებოდა ნაკლები განსხვავება ელიტურსა და ნაკლებად ელიტურს, ცენტრსა და პერიფერიას შორის.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი. დიდ ბრიტანეთში, სადაც უნივერსიტეტების ე.წ. ელიტური ჯგუფი არსებობს, დაფინანსების გარკვეული სქემებით (პროგრამის HEIF3 ფარგლებში) დაფინანსება გაიცემა იმ უსდ-ებზე და სკოლებზე, რომელთა საქმიანობა ნაკლებად ინტენსიურია კვლევის თვალსაზრისით. HEIF 4-ის ფარგლებში 2010-2011 წლებში £150 მილიონი დაიხარჯა “მდიდარი უნივერსიტეტიდან ღარიბ უნივერსიტეტებში“ თანხების

რედისტრიბუციისათვის. თანხა გაიცემოდა ფორმულით და არა კონკურენტული ბიდინგის საფუძველზე.

ანალოგიური დამაბალანსებელი დაფინანსება საქართველოში შეიძლება გაიცეს ახალი უნივერსიტეტებისთვის და მიმართულებებისთვის, უფრო ვიწრო პროფილის უსდ-სთვის, ისევე როგორც პრიორიტეტული მიმართულებებით რეგიონებში ნაკლები წარმადობის (სტუდენტების მცირე რაოდენობა) მიმართულებების შესაქმნელად/შესანარჩუნებლად .

3. ქსელების ფორმირება

რეგიონულ განვითარებაში უსდ-ების როლის გასაზრდელად აგრეთვე მნიშვნელოვანია უსდ-ებს შორის ქსელების ფორმირება ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურად გაზიარებისთვის/

ა. რეგიონული უსდ-ების ასოციაციები

ამგვარი გაერთიანებების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში უსდ-ების რეგიონული ასოციაციები, რომელთა მიზანია ინოვაციური სისტემების უნივერსიტეტის მოდელის განხორციელების ხელშეწყობა.

სახელმწიფო დაფინანსების სქემებით ამგვარი ცხრა რეგიონული ასოციაციის მხარდაჭერა ხდება. ასოციაციის პრიორიტეტია უსდ-ებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და რეგიონულ პარტნიორებთან კოლაბორაციის გაძლიერება.

საქართველოში ანალოგიური სტრუქტურის მაგალითს წარმოადგენს **რექტორთა საბჭო**. რექტორთა საბჭოს, როგორც უნივერსიტეტების თანამშრომლობის მაკოორდინირებელი უწყების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის რეკომენდაციები მოცემულია ამ თავის ბოლოში/ბოლოს.

ბ. ქალაქის განვითარების პროგრამები

დიდ ბრიტანეთში კიდევ ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „მეცნიერების ქალაქების“ ინიციატივა. ამ ინიციატივის ფარგლებში სამიზნე ქალაქების განვითარებაში არა მხოლოდ რეგიონული უნივერსიტეტები, არამედ ცენტრში განთავსებული მსხვილი უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრებიც მონაწილეობენ.

ინიციატივის მიზანია კვლევითი პოტენციალის გაზრდა 16 დარგობრივი მიმართულებით ექვს სამიზნე ქალაქში.

4. ტექნიკური დახმარების პროგრამები, საინფორმაციო მხარდაჭერა, კონსულტირება ორგანიზაციული განვითარების საკითხებში

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება და უნივერსიტეტების მხარდაჭერა ამ მიმართულებით;

დაინტერესებული მხარეების აზრით მნიშვნელოვანია უსდ-ების კონსულტირება და ტექნიკური მხარდაჭერა გარე აქტორებთან ურთიერთობის სტრატეგიების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში (მაგალითად, კარიერული ცენტრების ფორმირება, ვებგვერდების დახვეწა, საინფორმაციო კამპანიები, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ უნივერსიტეტების დახმარება პერსპექტიული დარგების პოპულარიზაციაში - საინფორმაციო საშუალებების გამოყენება.

ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების მეტად ინფორმირება ინოვაციების სააგენტოს აქტივობებისა და მათში უნივერსიტეტების ჩართვის მექანიზმების შესახებ.

5. ინტერვენციების განხორციელებისათვის შუამავალი როლების როლის გაძლიერება

რესპონდენტებთან ინტერვიუების თანახმად, ჩამოთვლილი რეკომენდაციების განხორციელების თვალსაზრისით განათლების სისტემაში უკვე მოქმედ მნიშვნელოვან აქტორებს წარმოადგენენ: რექტორთა საბჭო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

უსდ-ების რეგიონულ განვითარებაში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ამ აქტორებმა აქტიური როლი შეასრულონ რეგიონული განვითარების მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელებაში.

რექტორთა საბჭო უსდ-ების მიერ მოიაზრება, როგორც წარმომადგენლობითი ჰორიზონტალური უწყება, რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო აქტიური როლი შეასრულოს განათლების სისტემაში ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით პოლიტიკის შემუშავებაში, როგორცაა კლასტერების ფორმირება რეგიონული საჭიროებების და რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების ჩართულობის

ფორმების მიხედვით, დივერსიფიცირებული პაკეტების და დაფინანსების ხაზების კონცეფციების შექმნა, რეგიონულ განვითარებაში, უსდ-ების მონაწილეობისათვის, სხვა სექტორებთან (საჯარო მართვა, ბიზნესი) მოლაპარაკების წარმოებისათვის პლატფორმებისა და ფორმატების შექმნა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ რექტორთა საბჭო არ იყოს იერარქიული და შეხვედრების მთავარი ინიციატორი არ იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ჩართული უსდ-ების რექტორთა ნაწილი ამ სივრცეს არათანაბრად მიიჩნევს, სადაც შეხვედრის ადგილის ცვლილება, შეხვედრების რეგიონებში გამართვა პრინციპულ გავლენას ვერ ახდენს, როგორც ცენტრ-პერიფერიის, ისე მინისტრისა და „დაქვემდებარებული“ რექტორების ურთიერთობაზე.

საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა (მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით) უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელების სრულყოფაზე. რექტორთა საბჭომ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ სტრატეგიის ფორმირების პროცესში უნივერსიტეტების ინდივიდუალური, ისევე როგორც ზიარი საჭიროებების გამოვლენაში.

რექტორთა საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანი იქნება:

- ამ უწყების მანდატის დაზუსტება პოლიტიკის ფორმირებასა და მონიტორინგში.
- საბჭოს მუშაობის კიდევ უფრო სტრუქტურირება შესაბამისი კომიტეტების, სამუშაო ჯგუფების ფორმირების გზით.
- დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ეფექტურობისთვის.

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა უსდ-ების ავტორიზაციის ახალი კონცეფციის პილოტირებაზე. ახალი კონცეფცია ბევრი თვალსაზრისით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს წინა კონცეფციასთან შედარებით. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიახლეებია: ა) კოლეგიალური შეფასების სისტემაში საერთაშორისო ექსპერტების ინტეგრირება; და ბ) ხარისხის უფრო მოქნილი სტანდარტების შექმნა, სადაც უსდ-ებს მეტი თავისუფლება აქვთ საკუთარი ნიშის, ისევე როგორც ხარისხის ინდიკატორების ნიშნულების განსაზღვრისთვის.

ეს მოდელი, ამასთანავე განსაზღვრავს ძირითად განზომილებებს, რომლითაც ხდება უსდ-ების მუშაობის ხარისხის შეფასება - ერთ-ერთი ასეთი განზომილება უნივერსიტეტის მესამე მისიაა. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის განხორციელება

და უსდ-ების ახალი სტანდარტებით შეფასება ჯერ პილოტირების ფაზაშია, ცენტრში არსებული, ისევე როგორც რეგიონული უნივერსიტეტები აღნიშნავენ ამ პროცესის დადებით მხარეებს. მაგალითად, პროცესმა ხელი შეუწყო უსდ-ებში მონაწილეობითი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების სრულყოფას და ცოდნის გაზიარებას, როგორც ორგანიზაციების შიგნით, ისე ორგანიზაციებს შორის.

თუმცა, უსდ-ები იმასაც აღნიშნავენ, რომ საკუთარი მისიისა და ხარისხის მართვის მოდელების ჩამოყალიბებაში გაზრდილი თავისუფლების პირობებში მათ მეტი კონსულტაცია სჭირდებათ.

შესაბამისად, ხარისხის განვითარების ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი ფუნქცია შესაძლებელია გახდეს ტექნიკური (საკონსულტაციო პროგრამები) და ტრენინგები უსდ-ებისთვის ორგანიზაციული განვითარების საკითხებში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დღეისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს უსდ-ების კვლევითი პოტენციალის განვითარებაში. ამ მხრივ პერსპექტიულ ახალ მიმართულებებს წარმოადგენს ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობა. ცენტრის საქმიანობაში ახალ მიმართულებას წარმოადგენს აქცენტი ქსელურ მუშაობაზე და უნივერსიტეტებს შორის ისევე როგორც აკადემიასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობაზე კვლევით პროექტებში, რაც გამოყენებითი კვლევების ახალ კონცეფციაში აისახა. გამოყენებითი კვლევების ახალ კონცეფციაზე დაყრდნობით საპოლიტო კონკურსი 2018 წელს გამოცხადდება.

უსდ-ების აზრით, კარგი იქნება თუ ფონდის მიერ შემოთავაზებული დაფინანსების სქემებში უფრო მკაფიოდ გამოჩნდება უსდ-ების „მესამე მისიის“ მნიშვნელოვნება, ასევე, დაფინანსების ბერკეტების მეშვეობით ხელი შეეწყობა ცენტრსა და რეგიონს შორის თანამშრომლობას კვლევით პროექტებში. ფონდის ინფორმაციით, გამოყენებით, ისევე როგორც ფუნდამენტურ კვლევებში რეგიონის ჩართულობის გაზრდისათვის ფონდი უპირატესობას მიანიჭებს ისეთ პროექტებს, რომლებიც რეგიონულ თანამშრომლობას გულისხმობს.

6. საერთაშორისო ექსპერტიზის შესყიდვის რეგულაციებში ადგილობრივი რესურსების ჩართვის ვალდებულების დაზუსტება

ეროვნულ დონეზე ადამიანური კაპიტალის და ფინანსური რესურსების სიმწირის პირობებში, რეგიონული განვითარების პროგრამების განხორციელება ძირითადად, საერთაშორისო დონორების დახმარებითა და საერთაშორისო ექსპერტიზის მოზიდვის გზით ხდება.

ამ მიდგომის დადებითი მხარე ის არის, რომ მცირდება პროგრამების/პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სტრატეგია გარკვეულ რისკსაც შეიცავს. კერძოდ, არ ხდება ცოდნის დაგროვება ადგილზე და შესაბამისად იზღუდება ამ ცოდნის დიფუზიის, რეპლიკაციისა და მასზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობები.

ერთ-ერთ საინტერესო გამოსავალს ამ სიტუაციაში შეიძლება წარმოადგენდეს საერთაშორისო ექსპერტიზის შექმნის შემთხვევაში ადგილობრივი აკადემიის ჩართულობის უზრუნველყოფა კონტრაქტებსა და სატენდერო პირობებში გარკვეული ვალდებულებების დაფიქსირების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე ადგილობრივი ექსპერტიზის კონტრიბუცია პროგრამებსა და პროექტებში შესაძლოა მცირე იყოს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მიდგომა ხელს შეუწყობს ცოდნის აკუმულირებას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და ამ ცოდნის რეპლიკაციას. მექანიზმის ამოქმედების პარალელურად მნიშვნელოვანია უსდ-ებსაც დაეკისროთ ვალდებულება ამ ცოდნის სასწავლო და კვლევით პროცესებში ეფექტურად ინტეგრირებისთვის უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში.

7. უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების სრულყოფა

ზოგადად, მოცემული ანგარიშის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიგნებას წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად გაცხადებული პრიორიტეტისა, დარგობრივ სამინისტროებს, რეგიონულ და ცენტრალურ მმართველობას შორის რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით ნაკლები კოორდინაციაა.

საწყის ეტაპზე ამ კოორდინირებული მუშაობის ამოცანას სამოქმედო გეგმების სინქრონიზაცია და ხედვის დაზუსტება წარმოადგენს. უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელოვან ამოცანებს, ასევე წარმოადგენს რეგიონულ განვითარებაში ჩართული აქტორების თანამშრომლობის სტიმულირება პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში (სახელმწიფო მართვის განსხვავებული მოდელების მიუხედავად) წამყვანი როლი ამ მხრივ ცენტრალურ ხელისუფლებას ენიჭება. საქართველოშიც, ეფექტური რეგიონული განვითარების საწინდარი კარგად კოორდინირებული და მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Boucher G, Conway C and Van der Meer E (2003) Tiers of Engagement by Universities in their Region's Development. *Regional Studies* 37: 887-897.
- Boucher, G., Conway, C., & Van Der Meer, E. (2003). Tiers of engagement by universities in their region's development. *Regional studies*, 37(9), 887-897.
- Breznitz S and Feldman M (2012) The engaged university. *Journal of Technology Transfer* 37: 139-157.
- Bridger, J. C., & Alter, T. R. (2007). The engaged university, community development, and public scholarship. *Journal of Higher Education Outreach and Engagement*, 11(1), 163-178.
- Clark B (1998) *Creating Entrepreneurial Universities: Organizational Pathways of Transformation*, New York: Elsevier
- Cooke P (1992) Regional Innovation Systems: Comparative Regulation in the New Europe. *Geoforum* 23: 365-382.
- Cooke P, Heidenreich M and Braczyk H-J (2004) *Regional innovation systems*. 2nd ed. London and New York: Routledge.
- Etzkowitz H (1983) Entrepreneurial scientists and entrepreneurial universities in American academic science. *Minerva* 21: 198-233.
- Etzkowitz H, Webster A, Gebhardt C, et al. (2000) The future of the university and the university of the future: evolution of ivory tower to entrepreneurial paradigm. *Research Policy* 29: 313-330.
- Feldman M (2003) The Locational Dynamics of the US Biotech Industry: Knowledge Externalities and the Anchor Hypothesis. *Industry and Innovation* 10: 311-328.
- Franklin, N. E. (2009). The need is now: University engagement in regional economic development. *Journal of Higher Education Outreach and Engagement*, 13(4), 51-73.
- Garlick, S. C., & Garlick, S. C. (2000). *Engaging universities and regions: Knowledge contribution to regional economic development in Australia*. Evaluations and Investigations Programme, Higher Education Division.
- Gibbons M, Limoges C, Nowotny H, et al. (1994) *The new production of knowledge: The dynamics of science and research in contemporary societies*: Sage
- Goldstein H (2010) The 'entrepreneurial turn' and regional economic development mission of universities. *Annals of Regional Science* 44: 83-109.
- Grimaldi R, Kenney M, Siegel D, et al. (2011) 30 years after Bayh-Dole: Reassessing academic entrepreneurship. *Research Policy* 40: 1045-1057.
- Gunasekara C (2006) Reframing the Role of Universities in the Development of Regional Innovation Systems. *Journal of Technology Transfer* 31: 101-113.
- Gunasekara, C. (2006). Reframing the role of universities in the development of regional innovation systems. *The Journal of Technology Transfer*, 31(1), 101-113.
- Kitagawa , F. (2004) Universities and regional advantage: Higher education and innovation policies in English regions, *European Planning Studies*, 12:6, 835-852, DOI: 10.1080/0965431042000251882

Kitson M, Howells J, Braham R, et al. (2009) The Connected University: Driving Recovery and Growth in the UK Economy. *NESTA Research Report*. London.

Lindqvist, M., Olsen, L. S., & Baltzopoulos, A. (2012). *Strategies for Interaction and the Role of Higher Education Institutions in Regional Development in the Nordic Countries*. Nordregio.

Martinelli A, Meyer M and von Tunzelmann GN (2008) Becoming an entrepreneurial university? A case study of knowledge exchange relationships and faculty attitudes in a medium-sized research-oriented university. *Journal of Technology Transfer* 33: 259-283.

Nowotny H, Scott P and Gibbons M (2001) Re-Thinking Science: Knowledge and the Public in an Age of Uncertainty: Polity.

Organisation for Economic Co-operation and Development. (2007). *Higher education and regions: globally competitive, locally engaged*. Paris: OECD.

Organisation for Economic Co-operation and Development. (2010). *Higher education and region and city development: Berlin, Germanu*. Paris: OECD.

PACEC (2009) Evaluation of the Effectiveness and Role of HEFCE/OSI Third Stream Funding: Culture Change and Embedding Capacity in the Higher Education Sector Towards Economic Impact. Cambridge: PACEC.

Perkmann M, Tartari V, McKelvey M, et al. (2013) Academic engagement and commercialization: A review of the literature on university-industry relations. *Research Policy* 42: 423-442.

Philpott K, Dooley L, O'Reilly C, et al. (2011) The entrepreneurial university: Examining the underlying academic tensions. *Technovation* 31: 161-170.

Provan, K. G., & Milward, H. B. (1999, August). DO NETWORKS REALLY WORK?: A FRAMEWORK FOR EVALUATING PUBLIC-SECTOR ORGANIZATIONAL NETWORKS. In *Academy of Management Proceedings* (Vol. 1999, No. 1, pp. A1-A6). Academy of Management.

Siegel D, Veugelers R and Wright M (2007) Technology transfer offices and commercialization of university intellectual property: performance and policy implications. *Oxford Review of Economic Policy* 23: 640-660

Trippi, M., Sinozic, T., & Lawton Smith, H. (2015). The role of universities in regional development: conceptual models and policy institutions in the UK, Sweden and Austria. *European Planning Studies*, 23(9), 1722-1740.

Uyarra, E. (2010) Conceptualizing the Regional Roles of Universities, Implications and Contradictions, *European Planning Studies*, 18:8, 1227-1246, DOI: 10.1080/09654311003791275

საქართველოს მთავრობა (2013). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (2016). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2012-2017).

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) .

დანართი 1: რესპონდენტთა სია

ბათუმი

1. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი, რექტორი;
2. კერძო უნივერსიტეტი მახინჯაურში, რექტორი;
3. ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, რექტორი;
4. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, რექტორი;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორი;
6. სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, რექტორი;
7. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;
8. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე;
9. ქ. ბათუმის მერი;
10. ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე.

ქუთაისი

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორი;
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. ქუთაისის უნივერსიტეტი, რექტორი;
4. ქუთაისის უნივერსიტეტი, პროფესორი;
5. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე;
6. ქუთაისის მერია, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;
7. ადამიანი გაჭირვებაში (People in Need, შემდგომში PIN) პროექტების მენეჯერი;
8. ALDA, წარმომადგენელი;
9. ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელი;
10. ფოკუს ჯგუფი ბაღდათის რაიონის ორი სოფლის მოსახელობასთან ადგილობრივი საჭიროებების, განვითარების პროექტების შესახებ.

თბილისი

1. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ევრონტეგრაციისა და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
2. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
3. GIZ ადგილობრივი თვითმმართველოს განვითარება სამხრეთ კავკასიაში, მრჩეველი.